ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 8 სექტემბერი 2001 №171 (1444) | ფასი 50 თეთრი

# ერთი, რაც დაგვრჩა, წასვლაა

## ევროპაში შერცხვენილი ქართული კლუბების ერთადერთი შანსი: იქნებ უცხოელებს, აშვეთიასავით, ერთი ჩვენებური მაინც მოეწონოთ

თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, დღეს ქუთაისის „ტორპედოს“ და მეცამეტე ჩემპიონატის ბომბარდირი მიხეილ აშვეთია საკუთარ კლუბს გამარჯვებაში ბოლოსდა შეუშველება. ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ტორპედოს“ დამმარცხებელ „კოპენჰაგენს“ ისე მოაწონა თავი, ხვალ-ზეგ დანიელებთან კონტრაქტზე ხელის მოსაწერად მიემგზავრება. ვინ იცის, აშვეთია „ტორპედოს“ იქნებ არც არასდროს დაუბრუნდეს.

ბომბარდირთა დავაში აშვეთიას მდევრები მის გადასწრებას მეექვსე ტურის შემდეგლა თუ ეცდებიან. მეექვსე და გამოსამშვიდობებელი კი მისია.

ამ ამბავს და მთლიანად ტურს ინტერესს ისიც მატებს, რომ დედაქალაქში დერბია. ჩემპიონობის ორი მაძიებელი — „ლოკომოტივი“ და „დინამო“ ვაკეში ეჯახებიან ერთმანეთს. ვისაც მათი საგანგაშო დაპირისპირება და ვნებათაღელვა ახსოვს, დღეს საღამოს „ლოკომოტივზე“ აუცილებლად მივა.

მეექვსე ტურში სიახლეა ისიც, რომ „უმაღლესში მოწყობილ“ ქართულ საშწვრთნელო ამქარს უკვე ოფიციალურად დაუბრუნდება ზაურ ჩუბინიძე. „მარგვეთის“ ყოფილი თავკაცი დღეს მეორე ზესტაფონურ კლუბს, „მეტალურგს“ წყალტუბოში ჩაუძღვება.

მეექვსე ტური კინკილა თბილისური დუელით დასრულდება. წაუგებელი „მერანი“ განორჩებულ „ვიტ ჯორჯიას“ უმასპინძლებს.

სულ ეს არის გამოსარჩევი, ბევრი სიახლის მომტანი არც მეექვსე ტური ჩანს.


ბოლო „ლოკომოტივი“ — „დინამო“ დაძაბულობით, ხისტი თამაშით და ჩხუბითაც გამოირჩა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

### 6 ტური

8 სექტემბერი, შაბათი

ლოკომოტივი
დინამო

სამგურალი
მეტალურგი

ტორპედო
ბათუმი

კოლხეთი
გორდა

გურია
სიონი

9 სექტემბერი, კვირა

მერანი
ვიტ ჯორჯია

# საშაბათო ნახევარფინალური სერიალი



EUROBASKET 2001 TURKEY FIBA

ამ უქმეებზე ევროპა-აზიის გზაგასაყარზე და მსოფლიოს დედაქალაქში სამი ჩემპიონი გაიხარებს. სტამბოლში ევროპის კალათბურთელ ვაჟთა საუკეთესო ნაკრები დაიდგამს გვირგვინს, ხოლო ნიუ იორკში ცალკე ქალები და ცალკე ვაჟები სეზონის ბოლო უდიდესი ტურნირის, ამერიკის ღია ჩემპიონატის გამარჯვებულებს გამოავლენენ.

ამ სიტყვების წერისას საქმე ყველგან ნახევარფინალებამდეა მისული, თუმცა გაზეთს რომ გადაფურცლავთ, ნიუ იორკში საქმის ნახევარი მომთავრებული იქნება, ანუ გაცხადდება, მარტინა ჰინგისმა აჯობა თუ სერენა უილიამსმა, ვინუს უილიამსმა თუ ჯენიფერ კაპრიატიმ.

US OPEN

რამდენიმე საათში სტამბოლის „აბდი იპექჩი სფორ სალონუში“ მასპინძელი თურქეთი დირკ ნოვიცკის გერმანიას შეეჯახება, მერე კი ფავორიტი იუგოსლავია ურჯუკ ესპანეთს დაუპირისპირდება.

ნახევარფინალური სერიალი კი ნიუ იორკში მაშინ დასრულდება, როცა ჩვენთან გვიანი ღამე, ხოლო იქ შაბათის საღამო იქნება. რუსის გარეშე იქ არაფერი მოხდება — ჯერ მარატ საფინი შეეცდება პიტ სამპრასის ძლევას, შემდეგ კი ევგენი კაფელნიკოვი დაუპირებს წამოქცევას ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს.

მერე კი... ცოტაც მოვითმინოთ და სამი ჩემპიონის ვინაობასაც გავიგებთ.




თუკი დირკ ნოვიცკის ამოცეტავენ, თურქები ასე კვლავ გაიხარებენ


წააქცევს ამგვარად ლეიტონ ჰიუიტს ევგენი კაფელნიკოვი?

# კოპენჰაგენის სხვენზე აშვეთიას კარლსონი გაფრენილი დახვდება

**ქუთაისის** „ტორპედოს" 23 წლის თავდამსხმელი და 8 გოლით საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მომავალი კვირის დამდეგს დანიურ „კოპენჰაგენში" უნდა ჩაირიცხოს.

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონის 1:1, 3:1 მძლეველმა დანიელებმა საუკეთესო ტორპედოელის და მაგნუს კილსტედტის კარის ამღების გადაბირება მისი ნახვისთანავე ჩაიფიქრეს და ორ-სამ დღეში, ალბათ, საწადელსაც აისრულებენ.

— კვირას ან ორშაბათს დანიაში გავფრინდები — ვიზის საკითხი უკვე გარკვეულია და „ტორპედოს" მენეჯერ ვლადიმერ გუცაევთან ერთად გასამგზავრებლად მზად ვარ.

წინასწარი შეთანხმება კარგა ხანია არსებობს და გაურკვევლობა მოსალოდნელი არაა. სამედიცინო შემოწმების გავლისთანავე, ალბათ, კონტრაქტსაც გავაფორმებთ — გვითხრა გუშინ მიხეილ აშვეთიამ, რომელსაც ქუთაისში ტელეფონით დავუკავშირდით.

შეგახსენებთ, რომ „ტორპედოს" დამმარცხებელი „კოპენჰაგენი" თავად „ლაციოსთან" დაიჩაგრა 2:1, 1:4, მაგრამ ახლა უეფას თასზე გადაინაცვლა, სადაც იუგოსლავიური ბელგრადის „ობილიჩთან" ორმატჩიანი ჭიდილი ელის.

ეგაა, აშვეთია კოპენჰაგენელიც რომ გახდეს დანიელებს ბალკანელებთან ვერაფრით დაეხმარება, რადგან ევროთასების რეგლამენტით ერთ ფეხბურთელს ორ სხვადასხვა კლუბში თამაშის (ინტერტოტოს გამოკლებით) უფლება არ აქვს.

სამაგიეროდ, დანიის ორგზის ჩემპიონი და ორჯერაც თასის მფლობელი კლუბი ტიტულის შენარჩუნებას გეგმავს და ქართველ თავდამსხმელს ამაში დაიხმარს.

„კოპენჰაგენს" აშვეთია თავიდან სამხრეთაფრიკელი სიბუსისო ზუმას შემცვლელად ეგულებოდა, მაგრამ „ტორპედოსთვის" ორი გოლის გამტანმა ზანგმა ლონდონის „არსენალში" გადასვლა არ ისურვა და ქართველ თავდამსხმელს თავიდან ალბათ სერიოზული გაბრძოლება მოუწევს ძირითადში მოსახვედრად.

ამ ზამთარს აშვეთიას შეძენა კიდევ ერთ დანიურ კლუბს, „ლუნგბიუს" სურდა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი „ალანიამ" შეაფერხა.

აშვეთიას თქმით, ამჟამად ასეთი რამ გამორიცხულია. ვერც „ლაციოსთან" წაგების შემდეგ დანიელთა მთავარი მწვრთნელის, კენტ კარლსონის გადადგომა გამოდგება ხელისშემშლელად, რადგან ქართველი ბომბარდირის შეძენის ინიციატივა დანიური კლუბის თავმჯდომარე პეტერ ნორვიგისა ყოფილა.

10-ქულიანი „კოპენჰაგენი" დანიის წლევანდელ ჩემპიონატში მესამე ადგილზეა და პირველ-მეორე „ბრონდბიუს" და „ლუნგბიუს" 5-5 ქულით ჩამორჩება.

ერთი სიტყვით, ქართველ მეკარეებს და მცველებს, რომლებსაც ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ქართველი თავდამსხმელის წინაალმდეგ თამაში ყოველთვის უჭირდათ, შეუძლიათ შვებით ამოისუნთქონ. საქართველოს ჩემპიონატში 119, მთელს საშინაო-საგარეო კარიერაში კი 200-მდე გოლის გამტანი აშვეთია ახლა დანიელთა კარის დალაშქვრას ეცდება.

ვინძლო, ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა შორსმჭვრეტელ თვალთაც აღარ გამორჩეთ ბომბარდირი, რომელიც საუცხოო საზაფხულო ფორმის და ეროვნული ჩემპიონატის პირველ ხუთ მატჩში 8-გოლიანი სტარტის მიუხედავად უნგრეთ-ლიტვასთან თადარიგში ყოფნის ღირსადაც არ ჩათვალეს.

**ვახტანგ ბზიკაძე**



ტორპედოელი მიხეილ აშვეთია (№10) და ლოკომოტიველი ლაშა სალუქვაძე

# მეცადინეობა სომხეთში, გამოცდები ინგლისში

**ხვალ** საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები სამხრეთისკენ აიღებს გეზს და მეზობელ სომხეთს ეწვევა. იქ ქართველი ჭაბუკები ერთკვირიან ტურნეს მოაწყობენ. ჯერჯერობით გადაწყვეტილი მხოლოდ ისაა, რომ გელა გომელაურის შეგირდები ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ სომეხ თანატოლებთან.

შეგახსენებთ, რომ გელა გომელაურს საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრები ერთხელ უკვე ჰყავდა წაყვანილი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კერძოდ, შუა აგვისტოში ქართველმა ახალგაზრდებმა ირანის საერთაშორისო ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და ბოლო, მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. მანამდე კი ირანელები საქართველოში გვესტუმრნენ და ორჯერ ამხანაგურადაც გაეჯიბრნენ (1:1, 4:2) მასპინძლებს.

ცხადია, ეს ამხანაგური მატჩები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებისთვის მოსამზადებლად განიხილება. ცხრამეტწლამდელთა თავკაცს, არაერთხელ აღუნიშნავს, ამ თამაშების შედეგს ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მე უფრო მომზადების დონე მაინტერესებსო.

შეგახსენებთ, რომ ქართველ ჭაბუკებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ოქტომბერში ელით ნისლიან ალბიონზე, სადაც მათი მეტოქეები ინგლისელი და უნგრელი თანატოლები იქნებიან.

სომხეთში ქართველები 15 სექტემბრამდე გაჩერდებიან. შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდებიან და აქ გააგრძელებენ მზადებას.

**კახა ზალამბერიძე**

## საქართველოს თასი

**მეორე ეტაპი. 5 სექტემბერი**

**ჭაბუკიანი** 5:4 მრეტები (თბილისი)
დინამო 3 (თბილისი) 1:2 **ზოოვეტი (თბილისი)**
**მაუდი (თბილისი)** 1:0 ვიტ ჯორჯია 2 (თბილისი)
**ოლიმპიკი (თბილისი)** 4:2 ივერია (ხაშური)

**მესამე ეტაპი. 9 სექტემბერი**

ზოოვეტი — ჭაბუკიანი
ოლიმპიკი — მაუდი

პირველი წყვილის გამარჯვებული მეთექვსმეტედფინალში „მერანს", მეორისა კი თსუ-ს შეხვდება

## საქართველოს 13 ჩემპიონატი. რეგიონული ლიგა. 2 ტური

### აღმოსავლეთი ზონა

პირველი ტურის გადადებული მატჩები
აკადემია — ჯავახი 5:0
მესხეთი — თბილისი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიკი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 |
| აკადემია | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| ზოოვეტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| მცხეთა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ცხუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| ივერია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ვარძია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ალაზანი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:5 | 3 |
| თბილისი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ლიახვი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ჭაბუკიანი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| გორდა 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| მრეტები | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| მაუდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| მერანი 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| დინამო 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| მესხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| კრწანისი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |
| ჯავახი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:11 | 0 |

### დასავლეთი ზონა

I ტური. საპოვნელა — ზუგდიდი 2:3; ოკრიბა — მეტალურგი 2 0:1; ეგრისი — გურია 2 0:0; გზები — სულორი 0:1; მალაროელი — სამეგრელო 1:0; ლუკა — სოხუმი 2:0; სალხინო — მერცხალი 1:3; ჩიხურა — ბათუმი 2 2:3; საირმე — ინტერი 1:0; სქური — კოლხეთი 2 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| სულორი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| გურია 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ზუგდიდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| მალაროელი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| მეტალურგი 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| საირმე | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| სამეგრელო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| საპოვნელა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სალხინო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ლუკა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სქური | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ბათუმი 2 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ეგრისი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კოლხეთი 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| სოხუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ჩიხურა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | 0 |
| გზები | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |
| ოკრიბა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

## პორტუგალია

I ლიგა. IV ტური

**ალვერკა 1:2 ბოავიშტა**

## ჰოლანდია

I დივიზიონი. IV ტური

**ჰერენვენი 1:1 ვიტესი**

## ბელგია

I დივიზიონი. IV ტური

**მუსკრონი 0:1 შარლერუა**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. II წრე

**A ჯგუფი. IV ტური**

**ერაყი 1:2 ირანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ბაჰრეინი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| საუდეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ერაყი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:5 | 3 |
| ტაილანდი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:5 | 2 |

**B ჯგუფი. IV ტური**

**ყატარი 1:1 ჩინეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ყატარი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| საამიროები | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| უზბეკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ომანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

გიო ახვლედიანის სვეტი

# ეს კვირა

ერთი წლის დამშეულებს დიახაც რომ გაგვეხარდებოდა ხუთ დღეში მოპოვებული ორი გამარჯვება.

„ლოკომოტივი" სავსე არ იყო, არც შაბათს და არც ოთხშაბათს, მაგრამ ვინც იყო, ალალად გაიხარა. არ შეიძლებოდა, არ გაგვხარებოდა. სევდის მომგვრელი მხოლოდ ის არის, რომ ყოველთვის მაშინ გვიხარია, როცა ამ სიხარულს დიდი გაგრძელება აღარ მოჰყვება ხოლმე.

ახლაც ასეა. თუმცა, ჩივაძის ხელში გუნდი გამოცოცხლდა, გაახსენდა, რომ მოედანზე ორი კარი დგას, გაახსენდა დრიბლინგი, რბილი პასი და ათასი სხვა რამ. გამოჩნდნენ ისინი, ვინც შარშანვე უნდა გამოჩენილიყო, ვინც ადრე ვერ ეწერებოდა სქემებში, ვისაც მართლა შეუძლია თამაში და ასე დაუსრულებლად.

ამასთანავე გამოჩნდა ჩვენი თამაშის ტრადიციულად უვარგისი მხარეები: სუსტი ორგანიზაცია, სტანდარტული მდგომარეობების ქარს გატანება, დაცვის არეულობა, რის აღმოფხვრაზე ლაპარაკიც ახლა შეუძლებელი ჩანს.

ამ სიხარულსა და სევდაში ჩემთვის ყველაზე კარგი ის იყო, რომ საქართველომ დალაგებულად ვერ ითამაშა ლიტვასთან და მაინც მოიგო. მშვენიერი იყო ის, რომ თამაშის ბოლო ათ წუთში ქართველებმა გოლები გაიტანეს. ასეთი რამ, მგონი, დიუსელდორფის გოლის შემდეგ არ მოხერხებულა. გადასარევი იყო ალექსანდრე იაშვილის პირველი გოლი, სწორედ ისეთი, ასეთ დროს რომ უნდა გავიდეს: როცა ვერ გაგაქვს, უნდა შეტენო. ამის ცოდნით კი, მეკარის საჯარიმოში ჯაჯგურით, ქართველები ვერასდროს დაიკვეხნიდნენ.

იაშვილი ნაღდად იყო ამ ერთი კვირის გმირი და ვინც მისი საკლუბო თამაშის ცქერას შეჩვეულია, არც გაუკვირდებოდა, რომ ასე მოხდა. იაშვილისგან შორიახლოსაა დემეტრაძე, რომელსაც თამაშში საუკეთესოდ ჩართვის უნარი ადრეც ჰქონდა.

საქართველომ ხასიათიც გამოავლინა, რაც ასევე დავიწყებული რამ იყო ჩვენში. დავიწყებული კი არა, ეს, ალბათ, ერთ-ერთი მტკივნეული თემაა. ჩივაძის პირველად მწვრთნელობის დროიდან, რა თქმა უნდა, გვახსოვს ფრაზა, პირველი გოლის ფაქტორმა დაასვა თამაშს დაღიო. ამ ჯერზე, პირველი გოლი არ გაგვიშვია, თუმცა, ლიტვასთან შეხვედრაში კედლის განგრევის მცდელობები დიდად საზრიანი არ ყოფილა. ამის მიუხედავად, ჩვენებმა მოიგეს და ხასიათის გამოსწორების იმედიც ამიტომ თუ გამოჩნდა.

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, თუმცა დღეს არაფრის მომცემი.

ხვალ: აი, პრობლემა და საფიქრალი.

რა და როგორ შეიცვლება სახვალიოდ.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი

პირველი ეტაპი

6 ტური

# შემოდგომაა, დახედე საათს

## ჩვენმა ფეხბურთმა დროს ფეხი აუწყო: თამაშები ადრე დაიწყება

შემოდგომა წამოგვეპარა, შესამჩნევად აგრილდა და ფეხბურთის ფედერაციამაც ერთი საათით ადრე გადაწყვიტა მეექვსე ტურის დაწყება. გამონაკლისი მხოლოდ ტურის ცენტრალური მატჩი, „ლოკომოტივი“ — „დინამოა“. ორივე კლუბის შეთანხმებით ვაკეში ლევან ფანიაშვილი დასაწყისისას მაშინ ჩასტვენს, როცა სხვაგან საშაბათო მატჩები დამთავრებული იქნება.

ერთი თამაშის ამარაა თბილისი, სამაგიეროდ, დასავლეთ საქართველოს აახმაურებს ფეხბურთი. იქნება მოგება და წაგება, ალბათ, მშვიდობაც იქნება და სატურნირო ცხრილშიც დიდად არაფერი შეიცვლება.

27 აგვისტოს შემდეგ ისვენებდნენ უმაღლესლიგელები. ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებში გაწვეული ფეხბურთელები შინ დაბრუნდნენ. „მერანს“ თითქმის ათდღიანი განშორების შემდეგ მიაშურა ოთარ გაბელიამ, დიმიტრი ზაალიშვილს ახლა ტრავმირებული დინამოელები ჰყავს მისახედი, ნაკრების მეორე ექიმს, როლანდ ხვადაგიანს კი „ვიტ ჯორჯიაში“, წესით და რიგით, გადატვირთული სამუშაო გრაფიკი არ უნდა ჰქონდეს.

მოკლედ, ეროვნულ ჩემპიონატს ვუბრუნდებით, სადაც ცოტ-ცოტა ყველაფერია, ეშმაკობებით დაწყებული და უიშვიათესად ნამდვილი ფეხბურთის წამიერი გაელვებით დამთავრებული. გამორჩეული კი ჯერჯერობით, სამწუხაროდ, არაფრითაა.

### ლოკომოტივი — დინამო

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 5 +1=3-1 | 6:4 |
| სულ: | 10 +3=3-4 | 8:13 |

ვიცე-ჩემპიონი და ბრინჯაოს პრიზიორი... დასაწყისი მაინცდამაინც დამაჯერე... ი არც ერთს ჰქონია. ორივე გუნებაწამხდარი წავიდა სანაკრებო მატჩებით გამოწვეულ არდადეგებზე. აქეთ „ბირკირკარა“, იქით „ბატე“. „დინამომ“ მეხუთე ტურის თამაშიც წააგო მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან“. ამ მხრივ რკინიგზელებმა „გურიას“ ძლევით ცოტათი კი გამოიკეთეს ხასიათი, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ეს დიდი ვერაფერი შეღავათია.

და მაინც, დღეს ვაკეში სულ სხვა „ლოკომოტივი“ და „დინამო“ წარდგებიან. სტატისტიკას თუ გადავავლებთ თვალს, ათგზის ჩემპიონთა უპირატესობას ამოვიკითხავთ. კი, რკინიგზელებს შინ დაუმარცხებიათ „დინამო“, თასიდანაც დაუთხოვიათ ათგზის ჩემპიონი, მაგრამ ჩემპიონატის ხუთ საგარეო მატჩში დინამოელებს სამი ფრე და ერთი მოგებაც გაუჩარხავთ.

ახლა მეტოქეთა პრობლემები ვიკითხოთ და საბოლოოდ მოკრძალებული პროგნოზიც ვთქვათ. მასპინძლებს უკანა ხაზში აქვთ პრობლემები. მუხლმოუშუშებელი კახა ცხადაძე, საზარდულმტკივანი მურთაზ შელია და ზაზა ლაცაბიძე, რომელსაც ფეხი თაბაშირში ჩაუსვეს და 21 დღის შემდეგ ეტყვიან, როდის შეეძლება მთელი დატვირთვით ვარჯიში.

ტრავმირებულებში „დინამოა“ უკონკურენციო ჩემპიონი. ზაზა ზირაქიშვილი, მიხეილ მაზიაშვილი, ვახტანგ იაგორაშვილი და მიხეილ ხუციშვილი... მათ გამოჩენას უახლოეს ტურებში არც უნდა ველოდეთ. ახალგაზრდულ ნაკრებში გაწვეულმა რამაზ სვანაძემ ლიტვასთან მატჩში წვივი დაიზიანა და მისი თამაშიც სათუოა.

დინამოელთა უპირატესობას გივი ნოდიას ფაქტორიც ამყარებს. „ლოკომოტივის“ მწვრთნელყოფილი ახლა „დინამოს“ თავკაცია და რკინიგზელთა მთელი შემადგენლობაც მისი დავერცხლილია. რაც შეეხება პროგნოზს, ციფრები გვამცნობენ, „ლოკომოტივი“ — „დინამო“ ფრედ თუ დამთავრდა, არ გაგიკვირდეთ.

### ტორპედო — ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 11 +7=3-1 | 25:11 |
| სულ: | 23 +11=5-7 | 43:28 |

წავიდეთ დასავლეთში, სადაც პირველი გაჩერება, რა თქმა უნდა, ქუთაისია. ქულადაუკარგავი და გოლმიუღებელი ჩემპიონი „ბათუმს“ მასპინძლობს. არ არის გამორიცხული, „ტორპედომ“ ორიოდ მოთამაშე უცხოეთში გაუშვას, მაგრამ ეს მეექვსე ტურის წინ არ არის მოსალოდნელი. ერთადერთი ტრავმირებულიც ფორვარდი გიორგი იმედაძეა, რომელსაც ამ დღეებში გერმანიაში გაუკეთებენ ოპერაციას.

„ბათუმს“ ყველა ჯანზე ჰყავს და ქუთაისშიც იმედიანად მიდის, თუმც სტატისტიკა სულ სხვა რამეზე ღაღადებს. სამი ფრე და ერთი მოგება სტუმართათვის დიდი ვერაფერი ნუგეშია. ბოლო წლებია, „ტორპედოს“ „ბათუმი“ შინ თუ გარეთ დაბრიყვებული ჰყავს და ნაკლებს არც დღეს ჰპირდება.

ყველაზე უკეთესი ვარიანტი სტუმართათვის ქუთაისიდან ქულის წაღება იქნება. მაშინ ასლან ბალაძემ დაიტრაბახოს, სენსაცია გამოვაცხვეო. ჩვენ კი ვამბობთ, რომ „ბათუმმა“ გოლის გატანა თუ მოახერხა, ესეც მიღწევად ჩაეთვლებათ სტუმრებს.

### სამგურალი — მეტალურგი

**უმაღლეს ლიგაში ერთმანეთს არ შეხვედრიან**



საგაზაფხულო „ლოკომოტივი“ — „დინამო“ 2:2. სიხარული და მწუხარება: მაშინ რკინიგზელმა გიორგი შენგელიამ (შუაში) ანგარიში გახსნა და დინამოელებს საფიქრალი გაუჩინა

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 5 | 5 | 0 | 0 | 14:0 | 14 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 |
| 2 მერანი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 8 | 13 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 7 |
| 3 ბათუმი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 4 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 4 კოლხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 11:7 | 4 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 9 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 5 ლოკომოტივი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 3 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 6 ვიტ ჯორჯია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 3 |
| 7 დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 8 სიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:10 | -6 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | -9 | 0 |
| 9 სამგურალი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:10 | -5 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | -9 | 0 |
| 10 გორდა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:11 | -7 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:8 | -5 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 11 გურია | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | -6 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 12 მეტალურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:16 | -14 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:12 | -10 | 0 |

თბილისი. ლოკომოტივი. 8 სექტემბერი. 20 საათი

**ლოკომოტივი — დინამო**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ა. მალამბერიძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

წყალტუბო. 26 მაისი. 8 სექტემბერი. 17.30 საათი

**სამგურალი — მეტალურგი**

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ქუთაისი. ტორპედო. 8 სექტემბერი. 17.30 საათი

**ტორპედო — ბათუმი**

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. დოლიძე, ზ. მენთეშაშვილი; ა. კრიჟაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

ფოთი. ფაზისი. 8 სექტემბერი. 17.30 საათი

**კოლხეთი — გორდა**

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); მ. მალალურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

დისკვალიფიცირებული: ჰამლეტ წივწივაძე (კოლხეთი)

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე. 8 სექტემბერი. 17.30 საათი

**გურია — სიონი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ლ. სილაგავა (თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

თბილისი. სინათლე. 9 სექტემბერი. 17.30 საათი

**მერანი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ქუთაისში ვიყავით და წყალტუბოს გვერდი ავუაროთ, არ იქნება. ამიტომ „26 მაისზე“ გასამართ იმერულ დერბზეც ვთქვათ. შინ გაცილებით მარჯვედ მობურთალი „სამგურალი“ ზესტაფონის „მეტალურგს“ დაუპირებს წაქცევას.

უქულოს, მწვრთნელგამოცვლილს, არეულ-დარეულს, თანაც მეზობელს უნდა დახმარება, თორემ მშვიდად მყოფს ხელშეწყობა რაში სჭირდებაო, ასეთია ხშირად ქართული საფეხბურთო ლოგიკა. მაგრამ, რაღა დროს მეზობლობაა, როცა ორივე მეტოქე გასავარდნთა ზღვარზეა. ასე რომ, „სამგურალს“ ვერავინ ვერაფერს უსაყვედურებს.

„სამგურალი“ „მეტალურგს“ უმაღლეს ლიგაში არასდროს შეხვედრია. პირველი ჯგუფიდან კი კარგად იცნობენ ერთმანეთს. მატჩის შედეგს შემდეგი ფაქტორებიც განაპირობებს. პირველი — წაიხემსებენ თუ არა დღეს წყალტუბოელები და მეორე — შემოირიგებს თუ არა ზაურ ჩუბინიძე „მეტალურგზე“ გულაყრილ მოთამაშეებს. ასეა თუ ისე, უპირატესობა მასპინძელთა მხარესაა.

### კოლხეთი — გორდა

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 9 +6=2-1 | 21:4 |
| სულ: | 21 +8=4-9 | 32:29 |

წყალტუბოდან ფოთამდე კარგი მძღოლი ტაიმნახევარში ჩაგიყვანთ, მაგრამ თუ თამაშზე მისწრება გსურთ, თადარიგი ნაადრევად უნდა დაიჭიროთ. იმედია, რუსთაველები გაითვალისწინებენ ამ რჩევას.

ეტყობა, „გორდას“ პრობლემები შეუმცირდა. ტრავმა საბოლოოდ მოირჩინა ვარლამ კილასონიამ და ეს ბევრს ნიშნავს იასონ ალადაშვილის გუნდისთვის. მწვრთნელს სხვებიც ჯანმრთელად ჰყავსო და რუსთაველებს „ფაზისზე“ „კოლხეთის“ გამწარებაც ეხერხებათ.

შინ, რა თქმა უნდა, სოსო ფილიას გუნდია ფავორიტი. მართალია, კოლხები მეკარე ზურაბ ქვაჩახიას ამბავმა და ჰამლეტ წივწივაძის დისკვალიფიკაციამ დაალონა, მაგრამ ჩვენ მაინც მასპინძელთა გამარჯვებას ვიწინასწარმეტყველებთ, მით უმეტეს, როცა „კოლხეთს“ ცხრიდან ექვს შეხვედრაში დღევანდელი სტუმარი შინ გაწბილებული გაუბრუნებია.

### გურია — სიონი

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 4 +2=1-1 | 4:3 |
| სულ: | 9 +3=3-3 | 10:12 |

გული გულობდესო და ფოთიდან ლანჩხუთამდე ერთი თვალის დახამხამებაა. ვინმე ახირებულმა რომ მოიწადინოს, ერთსა და იმავე დროს ორ ქალაქში ორ თამაშს ვნახავო, თავისუფლად შეძლებს ფოთში, „ფაზისზე“ მატჩის დებიუტს დაესწროს და მერე „ევგრაფი შევარდნაძეზე“ თამაშის ბოლოსაც ჩაუსწროს. ეს ახირება არც ჩვენი საქმეა და არც ქომაგისა, რომელიც ორიდან ერთ მატჩს აირჩევს და ტრიბუნასაც ბოლომდე შერჩება.

პირველ საგარეო თამაშზე მიუძღვის თემურ მახარაძე „სიონს“. ერთი შეხედვით შემადგენლობაც უფრო სოლიდური ჰყავს, მაგრამ გამოცდილებით არც მასპინძელია ჯაბანი და...

ლანჩხუთში ერთხელ უმარჯვიათ ბოლნისელებს, ერთხელაც ქულა წამოუღიათ გურიიდან. დღესაც ჯერჯერობით ფრეზე შევთანხმდეთ, დანარჩენზე კი სტუმარ-მასპინძელი მორიგდეს.

### მერანი — ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| შინ: | 4 +1=2-1 | 5:6 |
| სულ: | 8 +1=3-4 | 6:10 |

თუ ვინმეს კვირას ფეხბურთი მოენატრება, ნუგეშად ავჭალის „სინათლე“ დარჩენია. დაუმარცხებელი „მერანი“ კიდევ უფრო გაახალგაზრდავებულ „ვიტ ჯორჯიას“ დაუხვდება. ოთარ გაბელიას ცოტა როდი ჰქონდა საფიქრალი — მუხინი, დევიძე, ბაჯელიძე... სამივეს ტრავმა აწუხებდა, მაგრამ მუხინმა და დევიძემ საზარდული მოირჩინეს, ბაჯელიძემ გაჭიმული კუნთი მოიშუშა და მთელი დატვირთვით ვარჯიშობენ.

ტრავმების მხრივ ვიტელთა იტალიელ თავკაცს საფიქრალი არ ჰქონია. წამყვანი მოთამაშეების წასვლის შემდეგ ჯანი კარნევალის საზრუნავი გუნდის გადაწყობა იყო. ვნახოთ, როგორ მოახერხეს ყოველივე ვეტერინარებმა.

ოთხი საშინაო მატჩიდან „მერანს“ „ვიტ ჯორჯიასთვის“ ერთის მეტი არ მოუგია, თუმც მხოლოდ ამდენივე წაუგია. ფრე და მშვიდობა კი ორჯერ იყო.

მასპინძელი იღბლიან გზაზე შემდგარა, სტუმარმა „დინამოს“ ძლევით გამოიკეთა უიღბლო დებიუტით წამხდარი ხასიათი. ჩვენ კი მშვიდობა ვუსურვოთ და ერთმანეთის პირისპირ ასე დავტოვოთ.

**გამუკა ძმანტალიანი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - აშვეთია | ტორპედო |
| 5 - ბოგოხიძე | დინამო |
| წივწივაძე | კოლხეთი |
| 3 - იონანიძე | ტორპედო |
| დავითაშვილი | მერანი |

## იტალია

პაატა კედია

# ბერგამოში ძმობა არ იციან

| II ტური | | |
|---|---|---|
| ატალანტა | - | იუვენტუსი |
| კიევო | - | ბოლონია |
| მილანი | - | ფიორენტინა |
| პარმა | - | ინტერი |
| პერუჯა | - | ლაციო |
| პიაჩენცა | - | ლეჩე |
| რომა | - | უდინეზე |
| ტორინო | - | ბრეშა |
| ვენეცია | - | ვერონა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| კიევო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბოლონია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| უდინეზე | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| მილანი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბრეშა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ტორინო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ვერონა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| რომა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლაციო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| პიაჩენცა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| პარმა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლეჩე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ატალანტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ფიორენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| პერუჯა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| ვენეცია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |



ფატიჰ თერიმის გაშვებაზე უკვე ლაპარაკობენ

**ხვალ,** „სან სირო" ოფიციალურად გაეცნობა „მილანის" ახალ თავკაცს, ფატიჰ თერიმს. თურქს მილანურად მისი ყოფილი გუნდი, „ფიორენტინა" მონათლავს.

ხომ გახსოვთ, გასულ სეზონში თერიმს ფლორენციული გუნდის შუა სეზონში მიტოვება რომ მოუხდა? მაშინ კლუბის მეპატრონესთან, ვიტორიო ჩეკი გორისთან მოუვიდა კონფლიქტი, თუმცა, როგორც ჩანს, იტალიაში მაინც მოახდინა შთაბეჭდილება, რისი დასტურიც მისი „მილანში" მიპატიჟება გახლდათ.

თუმცა, იტალიის ჩემპიონატი ჯერ ხეირიანად დაწყებულიც არ არის და თურქს უკვე აკრიტიკებენ, თან ისე, რომ აქა-იქ მის შემცვლელზეც კი დაიწყეს ლაპარაკი. ამბობენ, თერიმს „იუვენტუსის" თავკაცის თანამდებობიდან გადამდგარი კარლო ანჩელოტით შეცვლიანო.

და ეს ყველაფერი ერთი შედეგის გამო? მხოლოდ იმის გამო, რომ პირველ ტურში „მილანმა" ბრეშაში 2:2 ითამაშა? თანაც, გეხსომებათ, იმ შეხვედრაში როგორ შეაქციათ „შავ-წითლებს" იღბალმა ზურგი — ახალშეძენილი პორტუგალიელი ვარსკვლავი რუი კოშტა სადებიუტო თამაშის დასაწყისშივე დაშავდა, ხელი მოიტეხა, რასაც ბრეშელთა ორი გოლი მოჰყვა, მაგრამ მილანელებმა შეძლეს და გაათანაბრეს.

შემდეგ, გაზეთები წერდნენ, რომ თერიმმა ამ შეხვედრაში სრულიად ალოგიკური შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე და იმასაც აყოლებდნენ, რომ ეს შემადგენლობა თავად კი არ მოიფიქრა, არამედ ფეხბურთელებმა, პაოლო მალდინიმ და ალესანდრო კოსტაკურტამ განუსაზღვრეს.

„ფიორენტინა" კი, ამასობაში, თავის წილ პრობლემებს ებრძვის. თანაც, ეს პრობლემები გაცილებით მძიმეა, გაკოტრებასთან არის დაკავშირებული. 15 სექტემბერს სასამართლო სწორედ ფლორენციული კლუბის გაკოტრების საქმეს იხილავს და არ არის გამორიცხული, ამის შემდეგ ჩეკი გორის თავისი წილი აქციების გაყიდვა მოუხდეს.

ერთი სიტყვით, „ფიორენტინა" შავ დღეშია და სწორედ ამის ბრალი იყო, რომ ჩემპიონატის პირველ ტურში თავმოყვარე გუნდმა დებიუტანტ „კიევოსთან" წააგო 0:2.

თერიმი, რომელიც ფლორენციაში მაინც პოპულარულ კაცად რჩება, ამბობს, რომ მას სრულიად ესმის „ფიორენტინას" ახალი თავკაცის რობერტო მანჩინის პრობლემები:

„ასეთ ვითარებაში მუშაობა ძალზე ძნელია. ძალზე ძნელია ყოველ მორიგ შეხვედრაში რაიმე გააუმჯობესო, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემს ყოფილ ფეხბურთელებს დიდი სურვილი აქვთ, ყოფილი მწვრთნელის თვალწინ სანიმუშო ფეხბურთი ითამაშონ".

ერთია, რომ მანჩინის დაშავებული არავინ ჰყავს, თუმცა თერიმს გამოცდილი ნახევარმცველი დემეტრიო ალბერტინი დაუბრუნდა.

თუმცა, ჯერჯერობით, იტალიის ჩემპიონატის ფავორიტად არც „მილანს" განიხილავენ და მით უმეტეს არც „ფიორენტინას". აი, „იუვენტუსი" სხვა საქმეა, ის აშკარა ფავორიტია და მეორე ტურში ბერგამოში თამაშობს „ატალანტასთან". მოგეხსენებათ, პირველ ტურში ტურინელებმა შინ დაამარცხეს „ვენეცია", 4:0.

თუ დისკვალიფიცირებულ ჰოლანდიელ ნახევარმცველ ედგარ დავიდსს არ ჩავთვლით, „იუვენტუსს" სრული შემადგენლობა მზად ჰყავს. მის განკარგულებაშია ყოფილი ბერგამოელი კრისტიან ძენონიც, რომელიც ამ შეხვედრაში „ატალანტაში" დარჩენილ ტყუპისცალ დამიანოს დაუპირისპირდება. სტატისტიკა მოწმობს, რომ სერია A-ს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ტყუპები ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოლებენ.

პარმაში, „ინტერს" არ ეყოლება კრისტიან ვიერი, პირველ ტურში, „პერუჯას" კარში ოთხიდან ორი გოლის გამტანი, რომელმაც აქილევსის მყესი დაიზიანა. ამრიგად, „შავ-ლურჯთა" შეტევაში ნიკოლა ვენტოლა და მოჰამედ კალონი იქნებიან.

ვენტოლა, ამ შეხვედრაში, „ინტერის" ყოფილი გოლკიპერის, სებასტიან ფრეის კარში შეეცდება გოლის გატანას, ხოლო სერჟიუ კონსეისაუ, რომელიც „პარმადან" „ინტერში" ამ ზაფხულს გადავიდა, ალბათ, უკვე შიშით გაიხსენებს გასული სეზონის სათასო შეხვედრას, როდესაც მაშინ მისთვის უცხო „ინტერს" 6:0 მოუგო.

**პაატა კედია**



დამიანო ძენონი ტყუპისცალ კრისტიანს დაუპირისპირდება

## ინგლისი

გიგა კობახიძე

| IV ტური | | |
|---|---|---|
| ჩელსი | - | არსენალი |
| დერბი ქაუნთი | - | ვესტ ჰემი |
| ლიდსი | - | ბოლტონი |
| ლესტერი | - | იფსვიჩი |
| ლივერპული | - | ასტონ ვილა |
| მანჩესტერ იუნ. | - | ევერტონი |
| მიდლსბრო | - | ნიუკასლი |
| სანდერლენდი | - | ბლექბერნი |
| ჩარლტონი | - | ფულემი |
| ტოტენჰემი | - | საუთჰემპტონი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| ევერტონი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ლიდსი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| არსენალი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:2 | 6 |
| მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ფულემი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ბლექბერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| დერბი ქაუნთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| სანდერლენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ლივერპული | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| იფსვიჩი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ჩარლტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ნიუკასლი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ასტონ ვილა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ტოტენჰემი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ვესტ ჰემი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| საუთჰემპტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| მიდლსბრო | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |
| ლესტერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | 0 |




ემანუელ პეტი არსენალელ მეგობრებს მეტოქედ დაუბრუნდა

# პოსტმიუნხენური ტური

**ლიდერი** „ბოლტონი" ლიდსში აბარებს გამოცდას, ბლანიანი ჩემპიონი გესქოინიან „ევერტონში" შეეცდება სეზონში პირველად გოლი არ გაუშვას, ინგლისის ნაკრების მეგოლე გმირები „ენფილდზე" ბრუნდებიან, ლონდონში კი ორი დერბია — აი, პრემიერლიგის მეოთხე ტურს მოკლე ანონსი, თუმცა ჩვენ მკითხველს ამას როდი დავაჯერებთ და „კროკოს" ჩანართების პარალელურად თითოეულ გუნდში მომხდარ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ამბებსაც გააზლებთ. თვით კეიტ გილესპის მდგომარეობასაც კი...

ჩელსი — არსენალი. ბარსელონიდან ლონდონში, ოღონდ „ჩელსიში", დაბრუნებული ემანუელ პეტი ყოფილ თანაკლუბელებსა და მეგობრებს შეეჭიდება „სტამფორდ ბრიჯის" მოედნის შუაში, მისი ახალი გუნდის კარში კი ალბათ ისევ ჰოლანდიელი ედ დე გუი ჩადგება, ვინაიდან იტალიელ კუდიჩინის საზარდული აწუხებს. „არსენალს" ტრავმირებულების პრობლემა ნამდვილად არ აქვს და ყველა, მათ შორის ალბანელ ახალგაზრდებთან ჰეთ თრიქის შემსრულები ფრენსის ჯეფერსი, ძირითადში მოხვედრისთვის იბრძვის.

დერბი ქაუნთი — ვესტ ჰემი. მასპინძლებს მწყობრში ჰყავთ არგენტინელი მცველი ხორაციო კარბონარი, ლონდონის კლუბში კი დებიუტი ექნება 30 წლის შოტლანდიელ დონ ჰაჩისონს, რომელიც გლენ რიოდერმა „სანდერლენდიდან" იყიდა. „ვესტ ჰემის" მწვრთნელმა გუშინ უარყო ხმები, თითქოს ფერგიუსონთან ნაჩხუბარი დუაიტ იორკის შეძენა სურდეს.

ლიდსი — ბოლტონი. დომინიკ მატეომ შოტლანდიის ნაკრების ბოლო შეხვედრაში 90 წუთი ითამაშა და დაამტკიცა, რომ სრულად გამოჯანმრთელდა. ეს კი ნიშნავს, რომ ჯონათან ვუდგეიტს ისევ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოუწევს. იორკშირელთა მწვრთნელ დევიდ ოლირის სხვა რამ აწუხებს — დისკვალიფიცირებული დენი მილსისა და ლი ბოიერის (მათ ალბათ სტეფან მაკფეილით და გარი კელით შეცვლის) არყოფნას ერიკ ბაკეს ტრავმაც დაერთო. ასევე ვერ ითამაშებს „ბოლტონის" ფორვარდი ჯიბრილ დიავარა (მუხლი სტკივა), თუმცა ლიდერებს დაუბრუნდებათ დაცვის ბურჯი, 35 წლის კოლინ ჰენდრი.

ლესტერი — იფსვიჩი. შარშან ამ დროს „ლესტერი" მეორე ადგილზე იყო, თუმცა ახლა სხვა დროა: პიტერ ტეილორის გუნდმა ბოლო 12 თამაშიდან 11 წააგო (მათ შორის ამ სეზონის სამივე) და ცხადია, მწვრთნელს წყალი აქვს შეყენებული. მასპინძლების უსუსურობას ისიც დაერთო, რომ მაზი იზეტმა კოჭი იტკინა და მისი თამაში საეჭვოა, კაპიტანი დენის უაიზი კი „არსენალთან" გაძევების გამოა დასჯილი.

ლივერპული — ასტონ ვილა. მოსალოდნელია ულიეს ახალი შენაძენის, პოლონელი მეკარის ერჟი დუდეკის დებიუტი. „ბოლტონთან" დამარცხების მიზეზი ვესტერფილდი კი ალბათ, სათადარიგოდ გამწესდება. ვერ ითამაშებს მარკუს ბაბელი, ვისაც გრიპი შეჰყრია, მისი თანამემამულე დიტმარ ჰამანი კი ემილ ჰესკის და მაიკლ ოუენის პასებით მომარაგებით იქნება დაკავებული, რაც მისთვის უცხო ხილი სულაც არაა, თუმცა გასული შაბათის მიუნხენური ამბავის ფონზე საინტერესო სანახავი უნდა იყოს. წინა ტურში „მანჩესტერ იუნაიტედის" კინაღამ მომგებ ბირმინგემელებს, ალბათ, ხუან პაბლო ანხელი დააკლდებათ, რადგან კოლუმბიელი გადაღმა ნახევარსფეროში გახლდათ მსოფლიოს შესარჩევში სათამაშოდ და საეჭვოა, ლივერპულში დროზე ჩამოასწროს.

მანჩესტერ იუნაიტედი — ევერტონი. სამ თამაშში 5 გოლის გამშვები მანჩესტერული დაცვის შედუღაბებას 35 წლის ლორან ბლანი შეეცდება, მატჩი კი ალბათ მისი და ბარტეზის ტრადიციული თავზე კოცნით დაიწყება. საინტერესოა, დაასვენებს თუ არა სერ ალექსი დევიდ ბექჰემს, მით უმეტეს, რომ არგენტინელი ვერონი ბრაზილიასთან დისკვალიფიცირებული იყო და დამღლელ მოგზაურობას გადარჩა. ჯერჯერობით დაუმარცხებელ „ევერტონში" კარგი ამბებია: ტრავმები მოირჩინეს გარი ნეისმიტმა, აბელ შავიერმა და თვით პოლ გესქოინმაც კი.

მიდლსბრო — ნიუკასლი. მასპინძელთა თავკაცი სტივ მაკლარენი, ვინც ამავდროულად სვენ გორან ერიკსონის თანაშემწეა, ნაკრებიდან კარგ ხასიათზე დაბრუნდა და სამი წაგების მერე პირველი ქულების მოპოვებას შეეცდება. მასპინძლებს შესაძლოა ალენ ბოკშიჩი ვერ დაეხმაროს. სამაგიეროდ, სტუმართა ლეგენდა ალან შირერი აპირებს თამაშს.

სანდერლენდი — ბლექბერნი. პიტერ რიდი ცუდ დღეშია: ძირითადმა მეკარე თომას სორენსენმა ცხვირი გაიტეხა და გუნდს ორი კვირით გამოაკლდა. ვერც სათადარიგო იურგენ მაჩოა ჯანზე, ამიტომ მასპინძელთა კარში შესაძლოა ბებერი ფრანგი ბერნარ ლამა ვიხილოთ. სტუმართა რიგებში ყველაფერი რიგზეა — თუგაიმ და ბიორნებიუმ ტრავმები მოიშუშეს, კეიტ გილესპიმ კი კუჭის აშლილობა დაამარცხა (ა, კაცი!).

ჩარლტონი — ფულემი. ტრავმებით გატანჯულ „ჩარლტონს" ესლა აკლდა: მცველ რიჩარდ რუფუსმა მუხლის მყესები დაიწყვიტა და გუნდს 6 კვირით გამოაკლდა. სამაგიეროდ, ორწლიანი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა მასპინძელთა ერთ დროს საუკეთესო ბომბარდირმა კლაივ მენდონკამ. მატებაა „ფულემშიც" — ლუის საჰას თავდასხმაში, ალბათ, ახლად შეძენილ ფრანგ სტივ მარლეს შეუწყვილებენ.

ტოტენჰემი — საუთჰემპტონი. გლენ ჰოდლი განახევრებული შემადგენლობით დაუხვდება თავის ყოფილ გუნდს. თავად განსაჯეთ: დაშავებულნი არიან სტეფენ ივერსენი, სტეფენ კლემენსი, ბენ ტეტჩერი, სტივ კარი და კრის არმსტრონგი. ამათი თამაში გამორიცხულია, ისევე როგორც დისკვალიფიცირებული გუსტავო პოიეტისა. ამის გარდა, საეჭვოა ტედი შერინგემის, ტიმ შერვუდის და ოივინ ლეონარდსენის თამაშიც. ვინღა დარჩა?

## გერმანია

სოლომონ გულიაშვილი

# მიზანი, რომელიც ტრადიციაზე მეტია...

| V ტური | | |
|---|---|---|
| მიუნხენი | - | ნიურნბერგი |
| შტუტგარტი | - | ჰერტა |
| კოტბუსი | - | ვოლფსბურგი |
| ფრაიბურგი | - | ჰანზა |
| დორტმუნდი | - | ბაიერნი |
| ზანქტ პაული | - | შალკე |
| კიოლნი | - | ჰამბურგი |
| ლაუტერნი | - | ვერდერი |
| გლადბახი | - | ლევერკუზენი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 12 |
| ლაუტერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:5 | 12 |
| კოტბუსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| ლევერკუზენი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:5 | 8 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| გლადბახი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| შტუტგარტი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| შალკე | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| ჰამბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ჰერტა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ფრაიბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| კიოლნი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ვერდერი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| მიუნხენი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| ნიურნბერგი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |
| ჰანზა | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | 3 |
| ზანკტ პაული | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |
| ვოლფსბურგი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |

**დღეს**, ჩვენი დროით საღამოს შვიდის ნახევარზე, წლევანდელი ბუნდესლიგის ერთ-ერთი უმთავრესი მატჩი გაიმართება. ჯერაც დაუმარცხებელი დორტმუნდის „ბორუსია" თავის „ვესტფალენშტადიონზე" ჩემპიონ „ბაიერნს" უმასპინძლებს.

„დორტმუნდი" ის გუნდია, რომელმაც 90-იანი წლების შუაში ბავარიელთა ბატონობა დროებით დაამხო და 1995-96 წლებში ჩემპიონიც გახდა. მაშინ დორტმუნდელთა მწვრთნელი „ბაიერნის" ახლანდელი თავკაცი ოტმარ ჰიცფელდი იყო, ხოლო საუკეთესო ფეხბურთელი მათიას ზამერი. ზამერი, ვინც მეორე წელიწადია „ბორუსიას" ხელმძღვანელობს და ლამის გასავარდნად განწირული გუნდი კვლავ მოწინავეებში დააბრუნა.

ნაწილობრივ პასუხი გაეცემა ერთ მნიშვნელოვან კითხვასაც, მართლაც ლოგიკურია დორტმუნდელთა დღევანდელი ადგილი თუ „ბაიერნს" პირველობაში ისევ ვერავინ შეეცილება.

საინტერესოა, რომ „დორტმუნდს" „ბაიერნისთვის" ბოლო ექვსი წლის მანძილზე ბუნდესლიგის მატჩი არ მოუგია და დღეს ამ უსიამოვნო ტრადიციის დარღვევას შეეცდება.

ყველაფერთან ერთად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომავალ კვირას ორივეს ჩემპიონთა ლიგის გამხსნელი მატჩები ელის. სამშაბათს „დორტმუნდი" კიევში „დინამოს" შეხვდება, ოთხშაბათს კი „ბაიერნი" როტერდამში „ფეიენოორდთან" ითამაშებს.

„თუ დორტმუნდთან წავაგეთ, ქულათა სხვაობა ძალიან გაიზრდება და მერე მათი დაწევა ერთობ გართულდება" — ამბობს მიუნხენელთა დაშავებული ნახევარმცველი, იენს იერემისი.

სტუმრებს ტრავმების მიზეზით კიდევ ორი მთავარი კაცი, მეჰმეთ შოლი და კაპიტანი შტეფან ეფენბერგი არ ეყოლებათ. უამათობა კი, თუ „ბაიერნისთვის" ან გერმანიის ნაკრებისთვის რასაც ნიშნავს, გასულ ორ კვირაშიც კარგად გამოჩნდა. გაიხსენეთ, „ბაიერნი" — „ლივერპული" 2:3 და გერმანია — ინგლისი 1:5...

ისიც საკითხავია, როგორ განწყობაზე იქნება ბავარიელთა მეკარე ოლივერ კანი, რომელიც ინგლისთან იმ ისტორიულად ავადმოსაგონარ მატჩში გერმანელებს კაპიტნობდა.

პრობლემები, ცხადია, მასპინძლებსაც აწუხებთ. ზამერს დაშავებული ჰყავს ორი ნახევარმცველი, იორგ ჰაინრიხი და გაგერმანელებული განელი ოტო ადო, ასევე ტომით იტალიელი, მაგრამ გერმანელად მოქცეული ფორვარდი ჯუზეპე რეინა.

მიხაელ ცორკი, დღეს „დორტმუნდის" სპორტული დირექტორი, ახლო წარსულში კი ამ გუნდის ლეგენდარული კაპიტანი, ვინც 1995 წლის ოქტომბერში დორტმუნდელთაგან ბავარიელთა ბოლო ძლევისას (3:1) მესამე გოლი გაიტანა, აცხადებს, რომ ჰიცფელდის გუნდი შინ უქულოდ გაბრუნდება: „მართალია, „ბაიერნი" დიდი ხანია არ დაგვიმარცხებია, მაგრამ, არა მგონია ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. შაბათს აუცილებლად უნდა მოვიგოთ."

მეორე ქულადაუკარგავი, ანდრეას ბრემეს „კაიზერსლაუტერნი", ხვალ ბრემენის „ვერდერს" დაუხვედება. აქაც მასპინძლებს ტრავმების პრობლემა გასჩენიათ. მინდორზე ვერ გავლენ ფრანგი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი იური ჯორკაეფი და ბულგარელი მარიან ხრისტოვი.

„კოტბუსი", — ადრეული სეზონის გუნდი-მოულოდნელობა, რომელიც სულ მეორე სეზონია ბუნდესლიგის ბინადარი გახდა, — „ვოლფსბურგს" უმასპინძლებს და მწვრთნელ ედუარდ გაიერს დიდი იმედი აქვს, რომ მისი შეგირდები სეზონში მეოთხე მატჩსაც მოიგებენ და მესამე ადგილს შეინარჩუნებენ.

„კოტბუსს" არ ეყოლება ბრაზილიელი შემტევი ფრანკლინი. სამაგიეროდ, მინდორზე გავა მისი უცნაურგვარიანი თანამემამულე, 24 წლის ბრაზილია, რომელიც წლეულს პოლონური „პოგონიდან" შეიძინეს.

სტუმარ „ვოლფსბურგს" კი იარამოშუშებული და კარგა ხნის უთამაშებელი პოლონელი თავდამსხმელი, ანჯეი იუსკოვიაკი დაუბრუნდება.

საინტერესოა „მიონხენგლადბახ" — „ლევერკუზენის" მატჩიც. რვაქულიანი „ბაიერი" ლიდერებს კვალში უდგას, ხოლო ჰანს მაიერის „გლადბახს" ქულით ნაკლები აქვს და წარმატების შემთხვევაში, ეგებ სამეულსაც შეუერთდეს. მასპინძლებს მეკარე უვე კამპსი დაშავებიათ, სტუმრებს კი ყველა ჯანზე ჰყავთ და შინ სამი ქულის წაღებასაც გეგმავენ.

„ფრაიბურგი", რომელსაც პირველი ტურის მერე აღარ მოუგია, აღმოსავლელ სტუმრებს, როსტოკის „ჰანზას" მიიღებს. სტუმრები ეგვიპტელ ნახევარმცველ იასერ რადვანსა და ფორვარდ მარკუს ბაიერლეს ვერ ათამაშებენ. მასპინძლებს კი უმთავრესად სამი ქართველის, ცქიტიშვილის, კობიაშვილისა და იაშვილის იმედი აქვთ, რომლებიც საქართველოს ნაკრებიდან ორი მოგებული მატჩის მერე ჩინებულ განწყობაზე დაბრუნდნენ.



მათიას ზამერი ყოფილი დამრიგებლის, ოტმარ ჰიცფელდის ძლევას შეეცდება

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

## ესპანეთი

პაპუნა [illegible]



ზინედინ ზიდანი „რეალში" ჯერჯერობით წელში ვერ გაიმართა

# ნეტავ, რაში ყრიდა რეალი 66 მილიონს?

| II ტური | | |
|---|---|---|
| ბეტისი | - | ესპანიოლი |
| რეალი | - | მალაგა |
| ვალიადოლიდი | - | ვალენსია |
| ლას პალმასი | - | დეპორტივო |
| ბილბაო | - | მალიორკა |
| ალავესი | - | სოსიედადი |
| სელტა | - | ტენერიფე |
| ვილიარეალი | - | ოსასუნა |
| ბარსელონა | - | რაიო ვალეკანო |
| სარაგოსა | - | სევილია |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| სელტა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ლას პალმასი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ბილბაო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ალავესი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მალაგა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ვილიარეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ესპანიოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ვალენსია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბეტისი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| სევილია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| რაიო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სარაგოსა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| რეალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სოსიედადი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ტენერიფე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ოსასუნა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| მალიორკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ვალიადოლიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

ჩემპიონმა, მადრიდის „რეალმა", მოგეხსენებათ, პირველ ტურში, ვალენსიაში 0:1 წააგო და ახლა, ბუნებრივია, ერთი სული აქვს, თავის გულშემატკივარს გამარჯვება მიუძღვნას — „სამეფო გუნდი" დღეს, „სანტიაგო ბერნაბეუზე" „მალაგას" მასპინძლობს. საერთოესპანური აზრის თანახმად, მადირდელთა ახალ შენაძენს, ფრანგ ზინედინ ზიდანს ამ შეხვედრაში მორიგი შანსი ეძლევა, გაამართლოს ის 66 მილიონი დოლარი, რომელიც „რეალმა" მის სანაცვლოდ იტალიურ „იუვენტუსს" გადაუხადა. თავად ფრანგმა კი განაცხადა, რომ ჯერ საუკეთესო ფორმაში არ არის და ქომაგებს მოთმინებისკენ მოუწოდა.

ერთი სიტყვით, თუ ეს შესაძლებელია, „რეალმა" ზედიზედ მეორე შეხვედრაც რომ წააგოს, მაშინ ნახეთ კრიტიკა. მერედა, განა კრიტიკისთვის საბაბის პოვნა ძნელია? ნებისმიერ წუთს შეიძლება „სამეფო გუნდის" ბოსებს წამოაძახო იმ 66 მილიონის ამბავი. რაში ყიდნენ ფულს?

„მალაგას" კარის დალაშქვრა მასპინძლებს პორტუგალიელი ლუიშ ფიგუს გარეშე მოუწევთ. გეხსომებათ, ფიგუმ „ვალენსიასთან" შეხვედრაში წითელი ბარათი მიიღო და შესაბამისად, დღეს ტრიბუნაზე იჯდება. ტაქტიკურად, ფიგუს არყოფნა, ასეთ ცვლილებებს გამოიწვევს: მის ადგილს, მარჯვენა ფრთაზე, ინგლისელი სტივ მაკმანამანი დაიკავებს, ხოლო რაული, ზიდანთან ერთად ფერნანდო მორიენტესის უკან იმოქმედებს.

გავიხსენოთ ამავე გუნდების წინა სეზონის მადრიდული მატჩიც: მაშინ „ბერნაბეუზე" შვიდი გოლი გავიდა, ოთხი მალაგელთა, ხოლო სამი მასპინძელთა კარში.

და როგორ ითამაშა „მალაგამ" პირველ ტურში? ანდალუსიელებმა „რეალ ბეტისს" 3:2 აჯობეს.

მეორე ტურში მასპინძელია „ბარსელონაც". ის დედაქალაქის მეორე და ფრიად უპრეტენზიო გუნდს, „რაიო ვალეკანოს" ელის თავის „კამპ ნოუზე". ამ შეხვედრაში, როგორც ამბობენ, კატალონიელთა მწვრთნელი, კარლოს რექსაჩი ბრაზილიელ ვარსკვლავს, რივალდოს დაასვენებს. ასევე მოგეხსენებათ, რივალდო ოკეანის გაღმა, არგენტინაში იყო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სათამაშოდ, რომელიც ბრაზილიელებმა 1:2 წააგეს.

ამრიგად, ბარსელონელთა შეტევაში ასეთ წყვილს უნდა ველოდოთ: ხავიერ სავიოლა და პატრიკ კლუივერტი. რაც შეეხება გუნდის სულ ბოლო შენაძენს, იტალიელ ფრანჩესკო კოკოს, იგი, ალბათ, საათნახევარს არ ითამაშებს, მაგრამ ახალი ქომაგების წინაშე ცოტა ხნით გამოჩნდება. ერთი სიტყვით, გარემოს გაეცნობა და შეხურდება.

„რაიო ვალეკანომ" კი პირველ ტურში „ვილიარეალთან" წააგო და თანაც უამრავი დაშავებული ფეხბურთელი ჰყავს. მადრიდელთა ბედად, მათ მთავარ ძალას, ნიჭიერ ნახევარმცველს, ლუის სემბრანოსს არაფერი სჭირს და მოედანზე იქნება.

წამყვან გუნდთაგან, უნდა ითქვას „ვალენსიაზეც", რომელიც ვალიადოლიდში თამაშობს. ბუნებრივია, პირველ ტურში „რეალის" ძლევის შემდეგ ქომაგები ვალენსიელთაგან მეორე გამარჯვებასაც ელიან და ითხოვენ, მით უფრო, რომ „ვალიადოლიდმა" პირველ ტურში, ლა კორუნიაში, 0:4 წააგო და დაცვაში თამაშის სრული უუნარობა გამოავლინა. ასეთ გუნდს კი ძალიან გაუჭირდება, განსაკუთრებით აწ უკვე ესპანეთის ნაკრებში სამჯერ ნათამაშევი ვისენტესთან გამკლავება.

ხოლო „დეპორტივო" ლას პალმასს უნდა ეწვიოს და, ცხადია, იქიდან მორიგი სამი ქულით დაბრუნებას აპირებს. მეორე საქმეა, რომ სტუმართა გუნდში შესაძლოა ვერ ითამაშონ ბრაზილიელებმა, ჯალმინიამ და მაურო სილვამ, აგრეთვე ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა როი მაკაიმ.

ისე კი, ლა კორუნიელებს გრძელი და თანაბარძალოვანი სათადარიგო სკამი ჰყავთ და, სავარაუდოდ, დიდად დასუსტებულნი არ გავლენ მოედანზე.

გიორგი დემეტრაძის „რეალ სოსიედადი" ვიტორიაში მიდის „ალავესთან" შიდაბასკური ანგარიშის გასარკვევად. აღსანიშნავია, რომ პირველ ტურშიც შიდაბასკურ პრობლემებს არჩევდნენ სან სებასტიანელები: ბილბაოს „ატლეტიკმა" 3:1 მოუგო საკუთარ „ანოეტაზე". რას მოიმოქმედებს ცნობილი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი ამჯერად? რას დაუპირისპირებს წინა სეზონის უეფას თასის ფინალისტს, რომელმაც პრიმერადივიზიონის პირველ ტურში „ტენერიფე" დაამარცხა? თუმცა, იქნებ, ტოშაკსა და „სოსიედადს" ვიტორიელი რუბენ ნავაროს არყოფნამ უშველოს. ნავარო ხომ პირველ ტურში, ფიგუსი არ იყოს, გააძევეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

100 იუბილარი

# შემრო ჩვენი არჩევანია...

## შემროკ როვერსი

დაარსდა 1901 წელს
ირლანდიის ჩემპიონი (15): 1923, 25, 27, 32, 38, 39, 54, 57, 59, 64, 84, 85, 86, 87, 94
ირლანდიის თასის მფლობელი (24): 1925, 29, 30, 31, 32, 33, 36, 40, 44, 45, 48, 55, 56, 62, 64, 65, 66, 67, 68, 69, 78, 85, 86, 87



„უმბროსთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებით შემროკელებმა ფრიად გაიხარეს

**წლეულს** ისე მოხდა, რომ იუბილარები ნაკლებად ცნობილი, უფრო ზუსტად, ნაკლებად საინტერესო გუნდები არიან, მაგრამ რახან არიან, ჩვენც ჩვენი ვთქვათ, ბოლოს და ბოლოს, საუკუნისა მოყრილან...

ირლანდიური „შემროკ როვერსი“ ერთი მათგანია. ამ კლუბს შიდა მიღწევების გარდა არაფრით გამოუჩენია თავი. თუმცა ძველ ქომაგებს რომ ჰკითხოთ, აუცილებლად გიპასუხებენ: „შემროკ როვერსი“? გვახსოვს, 60-იან წლებში ევროთასების მუდმივი მონაწილე იყოო.

მართლაც ასეა, „შემროკ როვერსი“ 60 და 80-იან წლებში ევროპის საკლუბო ტურნირების ხშირი მონაწილე გახლდათ. სხვა საქმეა, რომ ნიადაგ პირველივე წრეში ვარდებოდა.

„შემროკი“ ირლანდიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდია. 15-ჯერ ქვეყნის ჩემპიონი გამხდარა, თასი კი 24-ჯერ მოუგია. საშინაო დუბლიც, ცხადია, ყველაზე მეტჯერ, 6-ჯერ მოუხერხებია, რაც ასევე ქვეყნის რეკორდია.

შიდაირლანდიური ლიგა, დღეს „აირკომ ლიგა“ რომ ჰქვია, არასოდეს ყოფილა პროფესიონალური და მათი ჩემპიონატის დონეც ამიტომაა დაბალი. თუმცა მაინც ბრიტანელები არიან და ფეხბურთს თავისებურად, სათუთად ეპყრობიან. ყველა კლუბს ჩინებული საინტერნეტო გვერდი აქვს, ყოველი თამაშის წინ ლამის ენციკლოპედიებად ქცეული პროგრამები გამოდის, ჰყავთ ფან-კლუბები, აქვთ ათწლეულობით უცვლელი ატრიბუტიკა. მაგალითად „შემროკის“ ქომაგმა ეგებ სულაც არ იცოდეს ვინ არის, ვთქვათ, მეჰმეთ შოლი ან დიეგო ტრისტანი, სამაგიეროდ ზეპირად იცის თავისი გუნდის ნებისმიერი ფეხბურთელის ყველა მონაცემი და ეს ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემა. ტრადიციებს იქ დიდ პატივს სცემენ და წაგება-მოგების მიუხედავად საყვარელ გუნდს ყოველთვის მხარში უდგანან. წლეულს „აირკომ ლიგაში“ უკვე ოთხი ტური ჩატარდა, მაგრამ დღესაც შეგიძლიათ შეიძინოთ „შემროკის“ სეზონური აბონემენტები. გნებავთ ინდივიდუალური, გნებავთ საოჯახო. ბავშვებზე და კლუბის ძველ წევრებზე კი ფრიადი შეღავათებია.

ამ ორიოდე კვირის წინ შემროკელებმა ფირმა „უმბროსთან“ სარფიანი ხელშეკრულება გაახანგრძლივეს და ამით ბედნიერები არიან. „უმბრო“ სტადიონის მთავარ ტრიბუნას ალამაზებს და იქაურთ სიურპრიზებსაც ჰპირდება. კლუბის თავმჯდომარე ჯო კოულველი მიიჩნევს, რომ ასეთი თანამშრომლობა კიდევ ერთი ნაბიჯია პროფესიონალიზმისკენ.

გუნდს ისტორიულად თეთრ-მწვანე ფორმა აცვია. მაისურებზე მწვანე ჰორიზონტალური ზოლები გასდევთ. ისეთივე, როგორიც სახელოვან მეზობელ გლაზგოს „სელტიკს“. საგარეო ფორმა კი მუქი ლურჯი აქვთ.

„შემროკს“ სამშობლოში სიძველით სამი კლუბი ჯობნის: „ბოჰემიანსი“ (1890), „შელბურნი“ და „უნივერსიტიკოლეჯი“ (ორივე 1895). ტიტულებით კი, როგორც ვთქვით, ვერავინ გაუტოლდება.

სხვათა შორის, „შემროკი“ პირველი ირლანდიური კლუბია, რომელმაც ევროთასებზე მიიღო მონაწილეობა. 1957 წლის შემოდგომაზე შემროკელი ჯეელები მატ ბასბის „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეხვდნენ და თუ შინ 0:6 წააგეს, სტუმრად მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მხოლოდ 2:3 დამარცხდნენ. მას შემდეგ შემროკელები კიდევ 16-ჯერ შეეჭიდნენ ევროხარისხს და მხოლოდ სამჯერ მოახერხეს პირველი წრის დაძლევა.

იქაურთ რომ ჰკითხოთ, საევროპო ასპექტში ორ რამეს გაიხსენებენ. ერთი ის არის, რომ 1926 წელს, როცა ირლანდიის ნაკრებმა პირველი საერთაშორისო მატჩი ითამაშა ტურინში იტალიასთან, შემადგენლობაში ოთხი შემროკელი დინი დოილი, ჯონ კოი ფლუდი, ბობ ფულამი და ჯონ ფეგანი მოხვდა. იმ დღეს სხვა არც ერთ კლუბს ჰყოლია ამდენი წარმომადგენელი. მეორე კი რვა წლის მერე მოხდა. შემროკელმა პედი მურმა, ბელგიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში (4:4) ოთხი გოლი გაიტანა...

ბოლო წლებში ირლანდიური ლიგის მეწინავე ჩრდილში მოექცა. 90-იანებში მხოლოდ ერთხელ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ბოლო ხუთ წელიწადში კი მეხუთე ადგილს არ ასცილებია... დღეისთვის მეოთხე ტურის შემდეგ მეორე ადგილზეა და მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება შარშანდელ ჩემპიონსა და ახლანდელ ლიდერ „ბოჰემიანსს“.

სტილით დაახლოებით ისე თამაშობენ, როგორც ახლახან ქუთაისს ნასტუმრევი ჩრდილოირლანდიური „ლინფილდი“. კლასით არაფრით აღემატებიან საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს.

დღევანდელი მოთამაშეებიდან კი იქაური ჟურნალისტები განსაკუთრებით ორს გამოარჩევენ.

ერთი 30 წლის ნახევარმცველი დერეკ ტრეისია, რომელიც კლუბში 1989 წლიდან თამაშობს, კლუბის რამდენიმე რეკორდი ეკუთვნის და ამ ზაფხულს კიდევ სამი წლით გაუხანგრძლივებია კონტრაქტი.

მეორე 29 წლის თავდამსხმელი შონ ფრენსისი გახლავთ, ვინც შარშან კლუბის საუკეთესო მეგოლე გახდა.

ყველაზე გამოცდილი კი გუნდში 33 წლის მეკარე რობი ჰორგანია.

აი, ასეთია „შემროკ როვერსის“ ამბები. კლუბისა, რომელიც წლეულს, მათი თავმჯდომარის თქმით, „საუკუნის სეზონს“ ატარებს.

**სოლომონ გულისაშვილი**



შონ ფრენსისი (მარცხნივ) შარშან კლუბის საუკეთესო მეგოლე გახდა

### შემროკ როვერსი ევროთასებზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 1957-58 | ჩემპიონთა თასი | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) | 0:6, 2:3 |
| 1959-60 | ჩემპიონთა თასი | ნიცა (საფრანგეთი) | 1:1, 2:3 |
| 1962-63 | თასების თასი | ბოტევი (ბულგარეთი) | 0:4, 0:1 |
| 1963-64 | ბაზრობათა თასი | ვალენსია (ესპანეთი) | 0:1, 2:2 |
| 1964-65 | ჩემპიონთა თასი | რაპიდი (ავსტრია) | 0:2, 0:3 |
| 1965-66 | ბაზრობათა თასი | სარაგოსა (ესპანეთი) | 1:1, 1:2 |
| 1966-67 | თასების თასი | სპორა (ლუქსემბურგი) | 4:1, 4:1 |
| | | ბაიერნი (გფრ) | 1:1, 2:3 |
| 1967-68 | თასების თასი | კარდიფ სიტი (უელსი) | 1:1, 0:2 |
| 1968-69 | თასების თასი | ფრეია (დანია) | 1:2, 0:1 |
| 1969-70 | თასების თასი | შალკე (გფრ) | 2:1, 0:3 |
| 1978-79 | თასების თასი | აპოელი (კვიპროსი) | 2:0, 1:0 |
| | | ბანიკი (ჩეხოსლოვაკია) | 1:3, 0:3 |
| 1982-83 | უეფას თასი | ფრამი (ისლანდია) | 4:0, 3:0 |
| | | უნივერსიტატია (რუმინეთი) | 0:2, 0:3 |
| 1984-85 | ჩემპიონთა თასი | ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) | 1:1, 0:0 |
| 1985-86 | ჩემპიონთა თასი | ჰონვედი (უნგრეთი) | 1:3, 0:2 |
| 1986-87 | ჩემპიონთა თასი | სელტიკი (შოტლანდია) | 0:1, 0:2 |
| 1987-88 | ჩემპიონთა თასი | ომონია (კვიპროსი) | 0:1, 0:0 |
| 1994-95 | უეფას თასი | გურნიკი (პოლონეთი) | 0:1, 0:7 |




ლოთარ მათეუსმა მწვრთნელობა „რაპიდით“ დაიწყო

# მათეუსმა საქმეს მიხედა

**„ნიუ იორკ მეტროსტარზიდან“** წასულმა უბერებელმა გერმანელმა ფეხბურთელმა ლოთარ მათეუსმა მართალია ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა, მაგრამ დიდ ფეხბურთს საბოლოოდ არ გამომშვიდობებია. მას ხშირად ეხმიანებოდნენ სხვადასხვა კლუბების წარმომადგენლები და მწვრთნელის პოსტს სთავაზობდნენ.

მათეუსის გადასაბირებლად ყველაზე მეტად ვენის „აუსტრია“ აქტიურობდა, რომლის მეპატრონეს, კანადელ მილიარდერ სტოუნაჩს ძალიან სურდა, ლოთარი გუნდის მთავარ მწვრთნელად ეხილა. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ მათეუსს პროფესიონალი მწვრთნელის ლიცენზია არ ჰქონდა, მაგრამ სტოუნაჩს ეს დიდად არ ანაღვლებდა. საბოლოოდ კი... გერმანიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ვენის „აუსტრიის“ ნაცვლად ამავე ქალაქის „რაპიდში“ აღმოჩნდა.

სამიოდე დღის წინ მათეუსს „რაპიდის“ ხელმძღვანელობა შეეხმიანა და ორი კვირის წინ გუნდიდან გაგდებული მთავარი მწვრთნელის, ერნსტ დოკუპილას ადგილი შესთავაზა. 40 წლის გერმანელმა გადაწყვიტა, რომ დრო იყო, ფეხბურთს მწვრთნელის რანგში დაბრუნებოდა. გუშინწინ მან ავსტრიულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და უახლოეს მატჩში „ადმირას“ წინააღმდეგ გუნდს თვითონ უთავკაცებს.

„რაპიდი“ ბრძოლისუნარიანი გუნდია — განაცხადა მათეუსმა — ვფიქრობ, ჩვენ ერთმანეთს კარგად შევეწყობით და წინ წავალთ. მართალია ამჟამად „რაპიდი“ არ არის ავსტრიის წამყვანი კლუბი, მაგრამ საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს“.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ლიდსი სამხრეთისკენ მიდის

**„ლიდს იუნაიტედის“** ხელმძღვანელობამ სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო და სიახლის თაობაზე გუნდის ქომაგთა აზრითაც დაინტერესდა. ეტყობა, მათი „ელანდ როუდი“ გაახლებას მოითხოვს, ანაც ლიდსელებს ძველი სტადიონის ტევადობა აღარ აკმაყოფილებთ. კლუბის მესვეურებმა, ალბათ, დიდხანს იფიქრეს და ერთგულ ფანებს დაეკითხნენ. სეზონური აბონემენტის მფლობელთა უმრავლესობამ (გამოკითხულთა 87,2 პროცენტმა) სიახლეს მხარი დაუჭირა.

ახალი სარბიელი სავარაუდოდ ლიდსის ერთ-ერთ გარეუბანში, სკელტონში აშენდება. ეს ადგილი ქალაქის სამხრეთშია და როგორც ფიქრობენ, „ელანდ როუდის“ მემკვიდრე 2004-2005 წლების სეზონის დასაწყისისთვის გაიხსნება.

თვით „ელანდ როუდს“ ოთხმოცდაერთწლიანი ისტორია აქვს. „ლიდს იუნაიტედმა“ მის კედლებში ბინა 1920 წელს დაიდო, როდესაც კლუბი ელიტარულ ლიგას შეუერთდა.

**გიორგი მამარდაშვილი**

# შეფამ რუკა გადააკეთა

**გუშინ** უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ევროფეხბურთში შესასვლელად ყაზახეთს გზა გაუხსნეს, ხოლო ინგლისის პატარა კოლონიას, გიბრალტარს, უარი უთხრეს. შეგახსენებთ, რომ გიბრალტარის უეფაში გაწევრიანებაზე ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ პროტესტი გამოთქვა და დაიმუქრა, უეფადან გავალო, გუშინ კი აღმასკომისეული გადაწყვეტილებით ნასიამოვნები პირინეელები გიბრალტარს ფეხბურთის განვითარებისათვის ყველანაირ ხელშეწყობას შეჰპირდნენ.

სხდომაზე უეფამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავს დამოუკიდებელი ქვეყნების, ფაქტობრივად კი კოლონიების რაიმე ორგანიზაციაში გაწევრიანებას. რაც შეეხება შოტლანდიას, რომელიც ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში შედის, ეს წესი არ შეეხება. სხვათა შორის, ამ ქვეყნის ორ გუნდს — „სელტიკსა“ და „რეინჯერსს“ ინგლისის პრემიერლიგაში თამაშის უფლება არ მისცეს, რასაც ისინი რახანია ითხოვდნენ.

დაბოლოს, ფიფა აპირებს ევროქვეყნებთან გამართოს სემინარი, სადაც შეეცდება, მოაწესრიგოს სატრანსფერო სისტემა.

რაც შეეხება ყაზახეთის გაევროპელებას, ეს საკითხი საბოლოოდ ოქტომბერში უეფას კონგრესზე გადაწყდება.

**ლაშა გეგეჭკორი**

## საფრანგეთი

### ლიგის თასი. I ეტაპის წილისყრა

ლე მანი (II) — ბასტია; კანი (II) — ბორდო; გენგამი — სენტ ეტიენი (II); ნანტი — სედანი; ამიენი (III) — ნიმი (II); ლავალი (II) — ოსერი; ლუანი (III) — ლე ავრი (II); მონაკო — ლანსი; სტრასბური (II) — კაენი (II); ლორიანი — მეცი; რენი — კრეტეი (II); ლიონი — სოშო; შატორუ (II) — მარტიგი (II); მარსელი — მონპელიე; ტრუა — პარი სენ ჟერმენი; ლილი — ნანსი (II)

# ჩემპიონთა ლიგა 2001-2002




ჩემპიონთა თასით ბოლოს მიუნხენის „ბაიერნმა" გაიხარა

## ვინ ვერ მოიგებს ლიგას

**მომავალი** წლის მაისის ერთ, ალბათ, მზიან დღეს ხელახლა გამოვაქვეყნებთ ჩემპიონთა თასის ყველა ფინალის ჩამონათვალს და მას რიგით ორმოცდამეშვიდე ფინალის შედეგსაც მივუმატებთ. დღეისთვის მხოლოდ ის ვიცით, რომ მომავალი ჩემპიონი იმ ოცდათორმეტ გუნდს შორის არის, რომლებიც მომავალ კვირაში 2001-2002 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩაებმებიან.

ვინ მოიგებს ლიგას? საეჭვოა, ამ კითხვაზე პასუხი ვინმემ გასცეს. სამაგიეროდ, საკმაოდ იოლი უნდა იყოს იმის გამოცნობა, თუ ვინ ვერ მოიგებს. ასეთი გუნდები ოცდათორმეტიდან უმრავლესობას წარმოადგენდნენ. თუმცა ამ ლოგიკით თუ ვივლით, ბოლოს უციოლობლად დაგვრჩება ის გუნდები, სულ რამდენიმე, რომელთაც ლიგის მოგება შეუძლიათ. „რეალი" და „ბარსელონა" ესპანეთიდან, „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლივერპული" ინგლისიდან, „იუვენტუსი", „ლაციო" და „რომა" იტალიიდან და „ბაიერნიც" გერმანიიდან. ეს არის და ეს. თუ ჩემპიონი მათ შორის არ აღმოჩნდა, სწორედაც რომ დიდი სენსაცია იქნება. ალბათ, შესაძლებელია, „არსენალმა" ან დორტმუნდის „ბორუსიამაც" გამოაჩინოს კბილები, მაგრამ თასი ჩამოთვლილ ოთხ ქვეყანას რომ არ გასცდება, უეჭველია.

და რა ქნან სხვებმა? სხვებმა ისიამოვნონ ფეხბურთით და სვან კოკა კოლა. თუმცა რა ხანია, ჩემპიონთა ლიგაში ფეხბურთის სიამოვნებისთვის თამაშისთვისაც არავის ცხელა და მითუმეტეს კოკა კოლასთვის.

ლიგაში დიდი ფული ტრიალებს და ფეხბურთელმა ამ ფულისთვის უნდა ითამაშოს, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, იმუშაოსო. ლიგას უყურებენ მწვრთნელებიც და ფეხბურთელი უნდა ეცადოს, კარგი თამაშით უკეთესი გუნდის მწვრთნელს მოაწონოს თავი. ლიგა ამისთვის საუკეთესო ადგილია. მაგრამ როცა ვამბობთ, რომ ფეხბურთელი კარგად თამაშს ცდილობს, ვგულისხმობთ უშეცდომოდ თამაშს და არა ლამაზ დრიბლინგს თუ სხვა ფანტასტიკური ტექნიკური შესაძლებლობების ჩვენებას. ამიტომაც ლიგაში იშვიათია გამორჩეულად ლამაზი თამაში. თუნდაც გასული ლიგა გავიხსენოთ. განა ბევრი მატჩი ჩაგებეჭდათ გონებაში?

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგაში, პრიმერადივიზიონსა თუ სერია A-ში უკეთესი თამაშები იმართება, სამშაბათიდან ტელევიზორებს მივუსხდებით და ლიგას ვუყურებთ. ბოლოს და ბოლოს ახალი სეზონის პირველივე დღეს „რომა" მასპინძლობს „რეალს" და მარტო ამ გუნდების სახელები გვაიძულებს, ვუყუროთ ლიგას.

სულაც არ არის აუცილებელი, „რომა" — „რეალი" ლამაზი თამაში გამოდგეს და დიდი შანსია, ასეც იყოს, მაგრამ ის აუცილებლად იქნება დაძაბული. ვფიქრობთ, ხშირად სწორედ ამ ზღვარგადასული დაძაბულობით არის ლიგა მიმზიდველი.

ამასთანავე გვაქვს იმედი, რომ გამოერევა სენსაციებიც, რომლის გარეშეც მთლიანად ფეხბურთი წარმოუდგენელია. ისე, თუ სენსაციებზე მიდგა საქმე, ფრანგული „ლილის" ლიგაში მოხვედრა, თან საკვალიფიკაციო ეტაპიდან „პარმას" გაგდებით, უკვე სენსაციაა. აბა, წარმოვიდგინოთ: გუნდი, რომელიც ერთი წლის წინ ამოვიდა მეორე დივიზიონიდან, თავის ისტორიაში არასდროს გასულა ევროთასებზე, უცბად ლიგაში ხვდება, იმ ლიგაში, რომლის კარიც დახურული აღმოჩნდა „მილანისთვის", „ინტერისთვის", „ვალენსიასთვის" თუ „ლიდსისთვის".

და ისევ, ვინ მოიგებს ლიგას? კარგით, რა...

რაც შეეხება ქართველებს, ჯერჯერობით ლიგაში ეინდჰოვენელი გიორგი გახოკიძე და სპარტაკელი კახა მჟავანაძე არიან. მათ, ალბათ, ზაზა ჯანაშიაც შეუერთდება, რომლის „ლოკომოტივიც" დღეს გადათამაშებას მართავს „ტიროლთან".

**ირაკლი ნინიძე**




2000 წლის ესპანური ფინალი: რაულმა და „რეალმა" „ვალენსია" გაანადგურეს

## ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.06.56 | პარიზი | რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი) | 4:3 |
| 30.05.57 | მადრიდი | რეალი (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია) | 2:0 |
| 29.05.58 | ბრიუსელი | რეალი (ესპანეთი) — მილანი (იტალია) | 3:2 |
| 03.06.59 | შტუტგარტი | რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი) | 2:0 |
| 18.05.60 | გლაზგო | რეალი (ესპანეთი) — აინტრახტი (გფრ) | 7:3 |
| 31.05.61 | ბერნი | ბენფიკა (პორტუგალია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 3:2 |
| 02.05.62 | ამსტერდამი | ბენფიკა (პორტუგალია) — რეალი (ესპანეთი) | 5:3 |
| 22.05.63 | ლონდონი | მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 2:1 |
| 27.05.64 | ვენა | ინტერი (იტალია) — რეალი (ესპანეთი) | 3:1 |
| 27.05.65 | მილანი | ინტერი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0 |
| 11.05.66 | ბრიუსელი | რეალი (ესპანეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) | 2:1 |
| 25.05.67 | ლისაბონი | სელტიკი (შოტლანდია) — ინტერი (იტალია) | 2:1 |
| 29.05.68 | ლონდონი | მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ბენფიკა (პორტუგალია) | 4:1 |
| 28.05.69 | მადრიდი | მილანი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 4:1 |
| 06.05.70 | მილანი | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 2:0 |
| 02.06.71 | ლონდონი | აიაქსი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 2:0 |
| 31.05.72 | როტერდამი | აიაქსი (ჰოლანდია) — ინტერი (იტალია) | 2:0 |
| 30.05.73 | ბელგრადი | აიაქსი (ჰოლანდია) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 15.05.74 | ბრიუსელი | ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი) | 1:1 |
| 17.05.74 | ბრიუსელი | ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი) | 4:0 |
| | | | გადათამაშება |
| 28.05.75 | პარიზი | ბაიერნი (გფრ) — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) | 2:0 |
| 12.05.76 | გლაზგო | ბაიერნი (გფრ) — სენტ ეტიენი (საფრანგეთი) | 1:0 |
| 25.05.77 | რომი | ლივერპული (ინგლისი) — მიონხენგლადბახი (გფრ) | 3:1 |
| 10.05.78 | ლონდონი | ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია) | 1:0 |
| 30.05.79 | მიუნხენი | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — მალმიო (შვედეთი) | 1:0 |
| 28.05.80 | მადრიდი | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — ჰამბურგი (გფრ) | 1:0 |
| 27.05.81 | პარიზი | ლივერპული (ინგლისი) — რეალი (ესპანეთი) | 1:0 |
| 26.05.82 | როტერდამი | ასტონ ვილა (ინგლისი) — ბაიერნი (გფრ) | 1:0 |
| 25.05.83 | ათენი | ჰამბურგი (გფრ) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 30.05.84 | რომი | ლივერპული (ინგლისი) — რომა (იტალია) | 1:1 (პენ. 4:2) |
| 29.05.85 | ბრიუსელი | იუვენტუსი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი) | 1:0 |
| 07.05.86 | სევილია | სტიაუა (რუმინეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 0:0 (პენ. 2:0) |
| 27.05.87 | ვენა | პორტუ (პორტუგალია) — ბაიერნი (გფრ) | 2:1 |
| 25.05.88 | შტუტგარტი | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 0:0 (პენ. 6:5) |
| 25.05.89 | ბარსელონა | მილანი (იტალია) — სტიაუა (რუმინეთი) | 4:0 |
| 23.05.90 | ვენა | მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0 |
| 29.05.91 | ბარი | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მარსელი (საფრანგეთი) | 0:0 (პენ. 5:3) |
| 20.05.92 | ლონდონი | ბარსელონა (ესპანეთი) — სამპდორია (იტალია) | 1:0დ.დ. (0:0) |
| 26.05.93 | მიუნხენი | მარსელი (საფრანგეთი) — მილანი (იტალია) | 1:0 |
| 18.05.94 | ათენი | მილანი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 4:0 |
| 24.05.95 | ვენა | აიაქსი (ჰოლანდია) — მილანი (იტალია) | 1:0 |
| 23.05.96 | რომი | იუვენტუსი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 1:1 (პენ. 4:2) |
| 28.05.97 | მიუნხენი | ბორუსია (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია) | 3:1 |
| 20.05.98 | ამსტერდამი | რეალი (ესპანეთი) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 26.05.99 | ბარსელონა | მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია) | 2:1 |
| 24.05.00 | პარიზი | რეალი (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) | 3:0 |
| 23.05.01 | მილანი | ბაიერნი (გერმანია) — ვალენსია (ესპანეთი) | 1:1 (პენ. 4:2) |

*შენიშვნა: 1992 წლიდან ჩემპიონთა თასი შეიცვალა ჩემპიონთა ლიგით*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2001-2002

## A ჯგუფი

რეალი (ესპანეთი), რომა (იტალია), ლოკომოტივი (რუსეთი) ან ტიროლი (ავსტრია), ანდერლეხტი (ბელგია)

### რეალი

*ჩემპიონთა თასი:* 8 (1956, 1957, 1958, 1959, 1960, 1966, 1998, 2000)
*უეფას თასი:* 2 (1985, 1986)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 32; თამაში: 230; მოგება: 135; ფრე: 35; წაგება: 60; გატანილი გოლები: 523; გაშვებული გოლები: 255
*სარეკორდო მოგება:* 9:0 ოდანსე (დანია) ჩემპიონთა თასი 1961-62
*სარეკორდო მარცხი :* 0:5 კაიზერსლაუტერნი (გერმანია) უეფას თასი 1981-82
0:5 მილანი ჩემპიონთა თასი (იტალია) 1988-89
*სტადიონი:* სანტიაგო ბერნაბეუ. 75000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ვისენტე დელ ბოსკე
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* ალფრედო და სტეფანო 49
*მოქმედი ფეხბურთელებიდან:* რაული 28

### რომა

*უეფას თასი:* 1 (1961)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 2; თამაში: 5; ფრე: 1; წაგება: 3; გატანილი გოლები: 14; გაშვებული გოლები: 7
*სარეკორდო მოგება:* 10:1 ალთაი (თურქეთი□ 1962-63
*სარეკორდო წაგება:* 0:4 წეფილდ უენსდეი (ინგლისი)
უეფას თასი 1961-62, 0:4 კიოლნი (გერმანია) უეფას თასი 1963-64;
0:4 კარლ ცეისი (გერმანია)თასების მფლობელთა თასი 1980-81
*სტადიონი:* ოლიმპიკო 82500 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ფაბიო კაპელო
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* პედრო მანფრედინი 18
*მოქმედი ფეხბურთელებიდან:* მარკო დელვეკიო 10

### ანდერლეხტი

*თასების მფლობელთა თასი:* 2 (1976, 1978)
*უეფას თასი:* 1 (1983)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 21; თამაში: 118; მოგება: 51; ფრე: 25; წაგება: 42; გატანილი გოლები: 188; გაშვებული გოლები: 177
*სარეკორდო მოგება:* 10:1 პაკა (ფინეთი) ჩემპიონთა თასი 1966-67
*სარეკორდო მარცხი:* 0:10 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) ჩემპიონთა თასი 1956-57
*სტადიონი:* კონსტანტ ვან დენ სტოკი 28 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* აიმე ანტუნესი
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* პოლ ვან ჰიმსტი 33
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ალინ სტოიკა 8

**A ჯგუფის მეოთხე გუნდის ვინაობა „ტიროლი“ — „ლოკომოტივის“ გადათამაშების შემდეგ გაირკვევა**

## C ჯგუფი

არსენალი (ინგლისი), მალიორკა (ესპანეთი), შალკე (გერმანია), პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

### არსენალი

*თასების მფლობელთა თასი:* 1 (1994)
*ბაზრობათა თასი:* 1 (1970)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 6; თამაში: 36; მოგება: 16; ფრე: 8; წაგება: 12; გატანილი გოლები: 57; გაშვებული გოლები: 45
*სარეკორდო მოგება:* 7:0 (სტანდარდი (ბელგია) თასების მფლობელთა თასი 1993-94
*სარეკორდო მარცხი:* 2:5 სპარტაკი (რუსეთი) უეფას თასი 1982-83
*სტადიონი:* პაიბერი 385 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* არსენ ვენგერი
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* იან რაიტი 15
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ტაიერი ანრი 12

### მალიორკა

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 2; თამაში: 4; მოგება: 1; ფრე: 2; წაგება: 1; გატანილი გოლები: 3; გაშვებული გოლები: 2
*სარეკორდო მოგება:* 4:1 მონაკო (საფრანგეთი) უეფას თასი 1999-2000
*სარეკორდო მარცხი:* 1:4 გალათასარაი (თურქეთი) უეფას თასი 1999-2000
*სტადიონი:* სან მოიქსი 26 500 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ბერნდ კრაუსი
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* იოვან სტანკოვიჩი, დიეგო ტრისტანი 5
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* იოვან სტანკოვიჩი 5

### შალკე

*უეფას თასი:* 1 (1997)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 2; თამაში: 7; მოგება: 3; ფრე: 2; წაგება: 2; გატანილი გოლები: 13; გაშვებული გოლები: 13
*სარეკორდო მოგება:* 4:0 სტუდენტესი (რუმინეთი) უეფას თასი 1976-77
*სარეკორდო მარცხი:* 0:5 მანჩესტერ სიტი (ინგლისი) თასების მფლობელთა თასი 1969-70
*სტადიონი:* პარკშტადიონი 62 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ჰუბ სტევენსი
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* მარკ ვილმოტსი 8
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* მარკ ვილმოტსი 8

### პანათინაიკოსი

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 18; თამაში: 91; მოგება: 27; ფრე: 30; წაგება: 34; გატანილი გოლები: 104; გაშვებული გოლები: 114
*სარეკორდო მოგება:* 6:0 კრაიოვა (რუმინეთი) უეფას თასი 1992-93
*სარეკორდო მარცხი:* 1:6 დინამო (რუმინეთი) თასების მფლობელთა თასი 1989-90
*სტადიონი:* სპიროს ლუისი 72 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* გიანის კირასტასი
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:*დიმიტრის სარავაკისი 23
*ახლანდელი შემადგენლობიდან:*კრჟიშტოფ ვარჟიხა 22

**გუნდების ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) მონაწილეობის მაჩვენებელი მიმდინარე, 2001-2002 წლების სეზონსაც ითვალისწინებს**

## B ჯგუფი

ლივერპული (ინგლისი), ბორუსია (გერმანია), დინამო (უკრაინა), ბოავიშტა (პორტუგალია)

### ლივერპული

*ჩემპიონთა თასი:* 4 (1977, 1978, 1981, 1984)
*უეფას თასი:* 3 (1973, 1976, 2001)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 13; თამაში: 79; მოგება: 50; ფრე: 13; წაგება: 16; გატანილი გოლები: 168; გაშვებული გოლები: 65
*სარეკორდო მოგება:* 11:0 სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) თასების მფლობელთა თასი 1974-75
*სარეკორდო მარცხი:* 1:5 აიაქსი (ჰოლანდია) ჩემპიონთა თასი 1966-67
*სტადიონი:* ენფილდი 45000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ჟერარ ულიე
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* იან რაში 20
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* რობი ფაულერი 12

### ბორუსია

*ჩემპიონთა თასი:* 1 (1997)
*თასების მფლობელთა თასი:* 1 (1966)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 8; თამაში: 57; მოგება: 30; ფრე: 12; წაგება: 15; გატანილი გოლები: 104; გაშვებული გოლები: 68
*სარეკორდო მოგება:* 8:0 ფლორიანა (მალტა) თასების მფლობელთა თასი 1965-66
*სარეკორდო მარცხი:* 1:6 მანჩესტერი (ინგლისი) ბაზრობათა თასი 1964-65
*სტადიონი:* ვესტფილენ შტადიონი 68 500 მაყურებელი
*მწვრთნელი:* მათიას ზამერი
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* სტეფან შაპუიზა 16
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ლარს რიკენი 9

### დინამო

*თასების მფლობელთა თასი:* 2 (1975, 1986)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 20; თამაში: 128; მოგება: 61; ფრე: 27; წაგება: 40; გატანილი გოლები: 190; გაშვებული გოლები: 137
*სარეკორდო მოგება:* 8:0 ბარი თაუნი (უელსი) ჩემპიონთა ლიგის კვალიფიკაცია 1998-99
*სარეკორდო მარცხი:* 0:5 ბენფიკა (პორტუგალია) ჩემპიონთა თასი 1991-92
*სტადიონი:* ოლიმპისკი 83 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ვალერი ლობანოვსკი
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* სერგეი რებროვი 28
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* მაქსიმ შაცკიხი 7

### ბოავიშტა

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 2; თამაში: 8; მოგება: 3; ფრე: 2; წაგება: 3; გატანილი გოლები: 10; გაშვებული გოლები: 13
*სარეკორდო მოგება:* 8:0 სლიმა (მალტა) თასების მფლობელთა თასი 1979-80
*სარეკორდო მარცხი:* 0:5 ლაციო (იტალია) უეფას თასი 1977-78
*სტადიონი:* ბესა 11000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ხაიმე პაჩეკო
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* არტური 7
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ერვინ სანჩესი 3

## D ჯგუფი

ლაციო (იტალია), გალათასარაი (თურქეთი), პსვ (ჰოლანდია), ნანტი (საფრანგეთი)

### ლაციო

*თასების მფლობელთა თასი:* 1 (1999)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 3; თამაში: 28; მოგება: 14; ფრე: 7; წაგება: 7; გატანილი გოლები: 53; გაშვებული გოლები: 30
*სარეკორდო მოგება:* 5:0 ბოავიშტა (პორტუგალია) უეფას თასი 1977-78;
5:0 ომონია (კვიპროსი) უეფას თასი 1995-96
*სარეკორდო მარცხი:* 0:6 ლანსი (საფრანგეთი) უეფას თასი 1977-78
*სტადიონი:* ოლიმპიკო 82 500 მაყურებელი
*მწვრთნელი:* დინო ძოფი
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* სიმონე ინძაგი, პაველ ნედვედი 12
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* სიმონე ინძაგი 12

### გალათასარაი

*უეფას თასი:* 1 (2000)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 16; თამაში: 97; მოგება: 38; ფრე: 22; წაგება: 37; გატანილი გოლები: 132; გაშვებული გოლები: 144
*სარეკორდო მოგება:* 5:0 ქსამაქსი (შვეიცარია) ჩემპიონთა თასი 1988-89
*სარეკორდო მარცხი:* 0:6 ბაიერნი (გერმანია) ჩემპიონთა თასი 1972-73
*სტადიონი:* ალი სემი იენი 40 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* მირჩა ლუჩესკუ
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* პაქან შუქური 27
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* არიფ ერდემი 12

### პსვ ეინდჰოვენი

*ჩემპიონთა თასი:* 1 (1988)
*უეფას თასი:* 1 (1976)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 16; თამაში: 87; მოგება: 33; ფრე: 21; წაგება: 33; გატანილი გოლები: 137; გაშვებული გოლები: 102
*სარეკორდო მოგება:* 10:0 არდსი (ჩრდილოეთ ირლანდია) თასების მფლობელთა თასი 1974-75
*სარეკორდო მარცხი:* 0:6 სენტ ეტიენი (საფრანგეთი) უეფას თასი 1979-80
*სტადიონი:* ფილიპსი 33 500 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ერიკ გერეტსი
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* ვილი ვან დერ კაილენი 29
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* არნოლდ ბრუგინკი 5

### ნანტი

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 7; თამაში: 28; მოგება: 9; ფრე: 10; წაგება: 9; გატანილი გოლები: 40; გაშვებული გოლები: 40
*სარეკორდო მოგება:* 7:0 კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია) თასების მფლობელთა თასი 1979-80
*სარეკორდო მარცხი:* 1:5 კარდიფი (უელსი) თასების მფლობელთა თასი 1970-71;
1:5 ლევერკუზენი (გერმანია) უეფას თასი 1994-95
*სტადიონი:* ბოჟუარი 38 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* რეინალდ დენიო
*საუკეთესო მეგოლე ევროთასებზე:* ნიკოლა უედეკი 14
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ვიორელ მოლდოვანი 5

# ჩემპიონთა ლიგა 2001-2002

ეროვნული ბიბლიოთეკა

## E ჯგუფი

იუვენტუსი (იტალია), პორტუ (პორტუგალია),
როზენბორგი (ნორვეგია), სელტიკი (შოტლანდია)

### იუვენტუსი

*ჩემპიონთა თასი:* 2 (1985, 1996)
*თასების მფლობელთა თასი:* 1 (1984)
*უეფას თასი:* 3 (1977, 1990, 1993)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 19; თამაში: 126; მოგება: 64; ფრე: 30; წაგება: 32; გატანილი გოლები: 212; გაშვებული გოლები: 125
*სარეკორდო მოგება:* 7:0 რუმელანჟი (ლუქსემბურგი) უეფას თასი 1970-71; 7:0 ლეგია (პოლონეთი) თასების მფლობელთა თასი 1983-84; 7:0 ვალური (ისლანდია) ჩემპიონთა თასი1986-87
*სარეკორდო მარცხი:* 1:7 ვენა (ავსტრია) ჩემპიონთა თასი 1959-60
*სტადიონი:* დელე ალპი 69 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* მარჩელო ლიპი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* რობერტო ბეტეგა 27
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ალესანდრო დელ პიერო 22

### პორტუ

*ჩემპიონთა თასი:* 1 (1987)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 18;თამაში: 104; მოგება: 47; ფრე: 22; წაგება: 35; გატანილი გოლები: 167; გაშვებული გოლები: 116
*სარეკორდო მოგება:* 9:0 რაბათი (მალტა) ჩემპიონთა თასი 1986-87
*სარეკორდო მარცხი:* 1:6 აეკ (საბერძნეთი) ჩემპიონთა თასი 1978-79
*სტადიონი:* დას ანტას 50 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ოქტავიო მაჩადო
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* მარიო ჟარდელი 19

### როზენბორგი

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 14; თამაში: 76; მოგება: 27; ფრე: 15; წაგება: 34; გატანილი გოლები: 116; გაშვებული გოლები: 137
*სარეკორდო მოგება:* 6:0 გრევენმახერი (ლუქსემბურგი) უეფას თასი 1994-95
*სარეკორდო მარცხი:* 1:9 ჰიბერნიანი (შოტლანდია) უეფას თასი 1974-75
*სტადიონი:* ლერკენდალი 25 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ნილს არნე ეგენი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* ჰარალდ ბრატბაკი 15
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ჰარალდ ბრატბაკი 15

### სელტიკი

*ჩემპიონთა თასი:* 1 (1967)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 17; თამაში: 84; მოგება: 45; ფრე: 16; წაგება: 23; გატანილი გოლები: 149; გაშვებული გოლები: 79
*სარეკორდო მოგება:* 9:0 კპვ (ფინეთი) ჩემპიონთა თასი 1970-71
*სარეკორდო მარცხი:* 1:5 ქსამაქსი (შვეიცარია) უეფას თასი 1991-92
*სტადიონი:* სელტიკ პარკი 60 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* მარტინ ონილი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* ჯიმი ჯონსტონი 16
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ჰენრიკ ლარსონი 13

## F ჯგუფი

ბარსელონა (ესპანეთი), ლიონი (საფრანგეთი),
ლევერკუზენი (გერმანია), ფენერბაჰჩე (თურქეთი)

### ბარსელონა

*ჩემპიონთა თასი:* 1 (1992)
*თასების მფლობელთა თასი:* 4 (1979, 1982, 1989, 1997)
*ბაზრობათა თასი:* 3 (1958, 1960, 1966)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში)შედეგები:* სეზონი: 13; თამაში: 108; მოგება: 57; ფრე: 25; წაგება: 26; გატანილი გოლები: 215; გაშვებული გოლები: 129
*სარეკორდო მოგება:* 8:0 აპოლონი (კვიპროსი) თასების მფლობელთა თასი 1982-83
*სარეკორდო მარცხი:* 2:6 ვალენსია (ესპანეთი) ბაზრობათა თასი 1961-62
*სტადიონი:* კამპ ნოუ 98 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* კარლოს რექსაჩი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* ევარისტო, რივალდო 27
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* რივალდო 27

### ლიონი

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 3; თამაში: 16; მოგება: 7; ფრე: 2; წაგება: 7; გატანილი გოლები: 20; გაშვებული გოლები: 15
*სარეკორდო მოგება:* 7:0 რედ ბოიზი (ლუქსემბურგი) უეფას თასი 1974-75
*სარეკორდო მარცხი:* 0:7 ინტერი (იტალია) უეფას თასი 1959-60
*სტადიონი:* ჟერლანი 42 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ჟაკ სანტინი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* ნესტორ კომბინი, ფლური დი ნალო 11
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* სონი ანდერსონი 8

### ლევერკუზენი

*უეფას თასი:* 1 (1988)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 4; თამაში: 24; მოგება: 9; ფრე: 8; წაგება: 7; გატანილი გოლები: 37; გაშვებული გოლები: 32
*სარეკორდო მოგება:* 6:1 დინამო (საქართველო) ჩემპიონთა ლიგის კვალიფიკაცია 1997-98
*სარეკორდო მარცხი:* 0:4 მონაკო (საფრანგეთი) ჩემპიონთა ლიგა 1997-98
*სტადიონი:* ულრიხ ჰაბერლენდი 22 500 მაყურებელი
*მწვრთნელი:* კლაუს ტოპმიოლერი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* ულფ კირსტენი 29
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ულფ კრისტენი 29

### ფენერბაჰჩე

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 14; თამაში: 43; მოგება: 13; ფრე: 7; წაგება: 23; გატანილი გოლები: 37; გაშვებული გოლები: 78
*სარეკორდო მოგება:* 5:0 თურანი (აზერბაიჯანი) უეფას თასი 1994-95
*სარეკორდო მარცხი:* 1:7 ბენფიკა (პორტუგალია) ჩემპიონთა თასი 1975-76
*სტადიონი:* ფენერბაჰჩე 32 500 მაყურებელი
*მწვრთნელი:* მუსტაფა გენიზლი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* ჯემილ თურანი 9
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ხაიმ რევივო 1

## G ჯგუფი

მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), დეპორტივო (ესპანეთი),
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), ლილი (საფრანგეთი)

### მანჩესტერი

*ჩემპიონთა თასი:* 2 (1968, 1999)
*თასების მფლობელთა თასი:* 1 (1991)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 13; თამაში: 110; მოგება: 59; ფრე: 28; წაგება: 23; გატანილი გოლები: 218; გაშვებული გოლები: 113
*სარეკორდო მოგება:* 10:0 ანდერლეხტი (ბელგია) ჩემპიონთა თასი 1956-57
*სარეკორდო მარცხი:* 0:5 სპორტინგი (პორტუგალია) თასების მფლობელთა თასი 1963-64
*სტადიონი:* ოლდ ტრეფორდი 69 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ალექს ფერგიუსონი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* დენის ლოუ 28
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ენდი კოული 18

### დეპორტივო

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში)შედეგები:* სეზონი: 2; თამაში: 14; მოგება: 6; ფრე: 5; წაგება: 3; გატანილი გოლები: 18; გაშვებული გოლები: 14
*სარეკორდო მოგება:* 8:0 აპოელი (კვიპროსი) თასების მფლობელთა თასი 1995-96
*სარეკორდო მარცხი:* 1:5 არსენალი (ინგლისი) უეფას თასი 1999-2000
*სტადიონი:* რიასორი 35 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ხავიერ ირუეტა
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* ბებეტო 12
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ჯალმინია 7

### ოლიმპიაკოსი

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 16; თამაში: 58; მოგება: 19; ფრე: 13; წაგება: 26; გატანილი გოლები: 69; გაშვებული გოლები: 88
*სარეკორდო მოგება:* 5:0 მოზირი (ბელარუსი) ჩემპიონთა ლიგის კვალიფიკაცია 1997-98
*სარეკორდო მარცხი:* 0:5 გორნიკი (პოლონეთი) თასების მფლობელთა თასი 1969-70
*სტადიონი:* სპირის ლუისი 72 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ტაკის ლემონისი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* ნიკოს ანასტოპულოსი 14
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* პრედრაგ ჯორჯევიჩი, ჯოვანი 7

### ლილი

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 1; თამაში: 2; მოგება: 1; ფრე: 0; წაგება: 1; გატანილი გოლები: 2; გაშვებული გოლები: 1
*სარეკორდო მოგება:* 2:0 პარმა (იტალია) ჩემპიონთა ლიგის კვალიფიკაცია 2001-2002
*სარეკორდო მარცხი:* 0:1 პარმა (იტალია) ჩემპიონთა ლიგის კვალიფიკაცია 2001-2002
*სტადიონი:* გრიმონპრეზ ჟურიზი 21 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* ჯონი ეკერი, კრისტოფ ლანდრინი 1
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ჯონი ეკერი, კრისტოფ ლანდრინი 1

## H ჯგუფი

ბაიერნი (გერმანია), სპარტაკი (რუსეთი),
ფეიენოორდი (ჰოლანდია), სპარტა (ჩეხეთი)

### ბაიერნი

*ჩემპიონთა თასი:* 4 (1974, 1975, 1976, 2001)
*თასების მფლობელთა თასი:* 1 (1967); *უეფას თასი:* 1 (1996)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 19; თამაში: 158; მოგება: 90; ფრე: 37; წაგება: 31; გატანილი გოლები: 309; გაშვებული გოლები: 151
*სარეკორდო მოგება:* 10:0 ანართოსისი (კვიპროსი) უეფას თასი 1983-84
*სარეკორდო მარცხი:* 2:6 კოპენჰაგენი (დანია) უეფას თასი 1991-92
*სტადიონი:* ოლიმპიაშტადიონი 69 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ოტმარ ჰიცფელდი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* გერდ მიულერი 67
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* მეჰმედ შოლი 17

### სპარტაკი

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 12; თამაში: 74; მოგება: 32; ფრე: 17; წაგება: 25; გატანილი გოლები: 123; გაშვებული გოლები: 90
*სარეკორდო მოგება:* 5:0 ჟეუნესი (ლუქსემბურგი) ჩემპიონთა თასი 1980-81, 5:0 ჰელსინკი (ფინეთი) უეფას თასი 1983-84, 5:0 სკონტო (ლატვია) ჩემპიონთა თასი 1993-94, 5:0 ლიტექსი (ბულგარეთი) ჩემპიონთა ლიგის კვალიფიკაცია 1998-99
*სარეკორდო მარცხი:* 2:6 ვერდერი (გერმანია) უეფას თასი 1987-88
*სტადიონი:* ლუჟნიკი 84 500 მაყურებელი; *მწვრთნელი:* ოლეგ რომანცევი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* სერგეი როდიონოვი 22
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* იგორ ტიტოვი 11

### ფეიენოორდი

*ჩემპიონთა თასი:* 1 (1970)
*უეფას თასი:* 1 (1974)
*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 13; თამაში: 65; მოგება: 29; ფრე: 19; წაგება: 17; გატანილი გოლები: 125; გაშვებული გოლები: 72
*სარეკორდო მოგება:* 12:0 რუმელანჟი (ლუქსემბურგი) უეფას თასი 1972-73
*სარეკორდო მარცხი:* 0:5 რეალი (ესპანეთი) ჩემპიონთა თასი 1965-66
*სტადიონი:* ფეიენოორდი 51 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* ბერტ ვან მარვიიკი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* ლექს შონმაკერი 19
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* იონ დალ ტომასონი 7

### სპარტა

*ჩემპიონთა თასზე (ლიგაში) შედეგები:* სეზონი: 16; თამაში: 78; მოგება: 31; ფრე: 17; წაგება: 30; გატანილი გოლები: 109; გაშვებული გოლები: 111
*სარეკორდო მოგება:* 10:0 ანართოსისი (კვიპროსი) თასების მფლობელთა თასი 1964-65
*სარეკორდო მარცხი:* 0:6 ლიდსი (ინგლისი) უეფას თასი 1970-71
*სტადიონი:* ლეტნა 21 000 მაყურებელი
*მწვრთნელი:* იაროსლავ ხრებიკი
*საუკეთესო მგოლი ევროთასებზე:* ივან მრაცი 14
*ახლანდელი შემადგენლობიდან:* ვლადიმირ ლაბანტი 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

- **რეალი** მადრიდი, ესპანეთი
- **რომა** რომი, იტალია
- **ლოკომოტივი** მოსკოვი, რუსეთი **ან** **ტიროლი** ინსბრუკი, ავსტრია
- **ანდერლეხტი** ბრიუსელი, ბელგია

| | |
|---|---|
| 11.09 | რომა – რეალი; ლოკომოტივი ან ტიროლი – ანდერლეხტი |
| 19.09 | ანდერლეხტი – რომა; რეალი – ლოკომოტივი ან ტიროლი |
| 26.09 | რეალი – ანდერლეხტი; რომა – ლოკომოტივი ან ტიროლი |
| 16.10 | ანდერლეხტი – რეალი; ლოკომოტივი ან ტიროლი – რომა |
| 24.10 | რეალი – რომა; ანდერლეხტი – ლოკომოტივი ან ტიროლი |
| 30.10 | რომა – ანდერლეხტი; ლოკომოტივი ან ტიროლი – რეალი |

## B ჯგუფი

- **ლივერპული** ინგლისი
- **ბორუსია** დორტმუნდი, გერმანია
- **დინამო** კიევი, უკრაინა
- **ბოავიშტა** პორტუ, პორტუგალია

| | |
|---|---|
| 11.09 | ლივერპული – ბოავიშტა; დინამო – ბორუსია |
| 19.09 | ბორუსია – ლივერპული; ბოავიშტა – დინამო |
| 26.09 | ბოავიშტა – ბორუსია; ლივერპული – დინამო |
| 16.10 | ბორუსია – ბოავიშტა; დინამო – ლივერპული |
| 24.10 | ბოავიშტა – ლივერპული; ბორუსია – დინამო |
| 30.10 | ლივერპული – ბორუსია; დინამო – ბოავიშტა |

## C ჯგუფი

- **არსენალი** ლონდონი, ინგლისი
- **მალიორკა** ესპანეთი
- **შალკე** გელზენკირხენი, გერმანია
- **პანათინაიკოსი** ათენი, საბერძნეთი

| | |
|---|---|
| 11.09 | შალკე – პანათინაიკოსი; მალიორკა – არსენალი |
| 19.09 | არსენალი – შალკე; პანათინაიკოსი – მალიორკა |
| 26.09 | პანათინაიკოსი – არსენალი; შალკე – მალიორკა |
| 16.10 | არსენალი – პანათინაიკოსი; მალიორკა – შალკე |
| 24.10 | პანათინაიკოსი – შალკე; არსენალი – მალიორკა |
| 30.10 | შალკე – არსენალი; მალიორკა – პანათინაიკოსი |

## D ჯგუფი

- **ლაციო** რომი, იტალია
- **გალათასარაი** სტამბოლი, თურქეთი
- **პსვ ეინდჰოვენი** ჰოლანდია
- **ნანტი** საფრანგეთი

| | |
|---|---|
| 11.09 | ნანტი – პსვ ეინდჰოვენი; გალათასარაი – ლაციო |
| 19.09 | ლაციო – ნანტი; პსვ ეინდჰოვენი – გალათასარაი |
| 26.09 | პსვ ეინდჰოვენი – ლაციო; ნანტი – გალათასარაი |
| 16.10 | ლაციო – პსვ ეინდჰოვენი; გალათასარაი – ნანტი |
| 24.10 | პსვ ეინდჰოვენი – ნანტი; ლაციო – გალათასარაი |
| 30.10 | ნანტი – ლაციო; გალათასარაი – პსვ ეინდჰოვენი |

## E ჯგუფი

- **იუვენტუსი** ტურინი, იტალია
- **პორტუ** პორტუგალია
- **რუსენბორგი** ტრონდჰეიმი, ნორვეგია
- **სელტიკი** გლაზგო, შოტლანდია

| | |
|---|---|
| 12.09 | სელტიკი – რუსენბორგი; პორტუ – იუვენტუსი |
| 18.09 | იუვენტუსი – სელტიკი; რუსენბორგი – პორტუ |
| 25.09 | რუსენბორგი – იუვენტუსი; სელტიკი – პორტუ |
| 17.10 | იუვენტუსი – რუსენბორგი; პორტუ – სელტიკი |
| 23.10 | რუსენბორგი – სელტიკი; იუვენტუსი – პორტუ |
| 31.10 | სელტიკი – იუვენტუსი; პორტუ – რუსენბორგი |

## F ჯგუფი

- **ბარსელონა** ესპანეთი
- **ლიონი** საფრანგეთი
- **ბაიერი** ლევერკუზენი, გერმანია
- **ფენერბაჰჩე** სტამბოლი, თურქეთი

| | |
|---|---|
| 12.09 | ბაიერი – ფენერბაჰჩე; ბარსელონა – ლიონი |
| 18.09 | ლიონი – ბაიერი; ფენერბაჰჩე – ბარსელონა |
| 25.09 | ფენერბაჰჩე – ლიონი; ბაიერი – ბარსელონა |
| 17.10 | ლიონი – ფენერბაჰჩე; ბარსელონა – ბაიერი |
| 23.10 | ფენერბაჰჩე – ბაიერი; ლიონი – ბარსელონა |
| 31.10 | ბაიერი – ლიონი; ბარსელონა – ფენერბაჰჩე |

## G ჯგუფი

- **მანჩესტერ იუნაიტედი** ინგლისი
- **დეპორტივო** ლა კორუნია, ესპანეთი
- **ოლიმპიაკოსი** პირეოსი, საბერძნეთი
- **ლილი** საფრანგეთი

| | |
|---|---|
| 12.09 | ლილი – დეპორტივო; ოლიმპიაკოსი – მანჩესტერ იუნაიტედი |
| 18.09 | მანჩესტერ იუნაიტედი – ლილი; დეპორტივო – ოლიმპიაკოსი |
| 25.09 | დეპორტივო – მანჩესტერ იუნაიტედი; ლილი – ოლიმპიაკოსი |
| 17.10 | მანჩესტერ იუნაიტედი – დეპორტივო; ოლიმპიაკოსი – ლილი |
| 23.10 | დეპორტივო – ლილი; მანჩესტერ იუნაიტედი – ოლიმპიაკოსი |
| 31.10 | ლილი – მანჩესტერ იუნაიტედი; ოლიმპიაკოსი – დეპორტივო |

## H ჯგუფი

- **ბაიერნი** მიუნხენი, გერმანია
- **სპარტაკი** მოსკოვი, რუსეთი
- **ფეიენოორდი** როტერდამი, ჰოლანდია
- **სპარტა** პრაღა, ჩეხეთი

| | |
|---|---|
| 12.09 | სპარტა – სპარტაკი; ფეიენოორდი – ბაიერნი |
| 18.09 | ბაიერნი – სპარტა; სპარტაკი – ფეიენოორდი |
| 25.09 | სპარტაკი – ბაიერნი; სპარტა – ფეიენოორდი |
| 17.10 | ბაიერნი – სპარტაკი; ფეიენოორდი – სპარტა |
| 23.10 | სპარტაკი – სპარტა; ბაიერნი – ფეიენოორდი |
| 31.10 | სპარტა – ბაიერნი; ფეიენოორდი – სპარტაკი |

US OPEN ამერიკის ღია პირველობა 2001 US OPEN

# რა ამბავია ამდენი რუსი?!



REUTERS ნიუ იორკიდან

გუსტავო კუერტენის დამარცხებამ ევგენი კაფელნიკოვი შეაკუნტრუშა

**მეოთხედფინალი**

**ვაჟები**

**ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) — ენდი როდიკი (18, აშშ) 6:7 (5:7), 6:3, 6:4, 3:6, 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (7, რუსეთი) — გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) 6:4, 6:0, 6:3**

**აშშ-ის** ღია პირველობის ორი კვირა იწურება. ჩოგბურთელები კანტიკუნტადღა შემორჩნენ გათამაშებას. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ნიუ იორკში ნახევარფინალური ორთაბრძოლებია, კვლავაც გამოცანად რჩება, ვინ გახდება ხვალინდელი ფინალის გამარჯვებული. სავსებით შესაძლებელია, ფინალში რუსული დაპირისპირება ვიხილოთ. რაც დღევანდელ ნახევარფინალში პიტ სამპრასთან ბრძოლის უფლება მარატ საფინმა მოიპოვა, მეორე ნახევარფინალურ წყვილში ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტთან ურთიერთობის გასარკვევად კორტზე ევგენი კაფელნიკოვს მოუწევს გასვლა. სხვათა შორის, პირველადაა, რომ დიდი სლემის ტურნირის ამ სტადიაზე ერთბაშად ორმა რუსმა გააღწია. პირველი წყვილისგან განსხვავებით, კაფელნიკოვმა და ჰიუიტმა ასეთი პატივი ერთდღიანი დაგვიანებით მოიპოვეს, თუმც ამ უკანასკნელს საკმაო ოფლის ღვრა დასჭირდა იმისთვის, რათა მედგრად მებრძოლი ამერიკელთა იმედი, მეთვრამეტედ განთესილი ენდი როდიკი გაეტეხა. ჰიუიტმაც და როდიკმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს წარმატებისთვის. მთელი მატჩი, შეიძლება ითქვას, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა.

აგრესიულად მებრძოლ მეტოქეთა ერთმანეთისგან გარჩევა თავიდან ჭირდა კიდეც. რომ არაფერი ვთქვათ მათ ემოციებზე, ისინი ტყუპებივით იყვნენ ჩაცმულნი. ავსტრალიელი და ამერიკელი შავ პერანგებსა და თეთრ, პირუკუ შეტრიალებულ კეპებში გამოწყობილიყვნენ, არც მატჩის სტატისტიკურ მაჩვენებლებშია დიდი სხვაობა. თუ ჰიუიტის პირველი მოწოდების შედეგიანობა 56 პროცენტია, როდიკი მას სულ რაღაც 5 პროცენტით ჩამორჩება. ორმაგი შეცდომები კი ორივეს ძმურად გაუყვია — ათი ათზე.

ეისების მხრივ როდიკს გამოუღია ხელი. მან ჰიუიტის თხუთმეტს ექვსით გადააჭარბა, მაგრამ რად გინდა, 52 უნებლიე შეცდომა იანკი ჩოგბურთელისთვის საბედისწერო გამოდგა. ხუთსეტიანი მატჩი, რომელიც საკმაო ხანს, სამ საათსა და 40 წუთს გაიწელა, მწვანე კონტინენტის წარმომადგენელმა მოიგო 6:7 (5:7), 6:3, 6:4, 3:6, 6:4. ასპარეზობის დასრულების შემდეგ მეტოქეებს საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ ერთმანეთისთვის.

„იგი ბრწყინვალე მოთამაშეა. ის, რაც მან ბოლო ექვსი-რვა თვის განმავლობაში გააკეთა, წარმოუდგენელია. ენდი პატივისცემას იმსახურებს. შორს არაა ის დღე, როდესაც მას მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა კლასიფიკაციის ხუთეულში ვიხილავთ" — ხოტბად დაიღვარა 20 წლის ოზი ჩოგბურთელი. მას არც 19 წლის ოპონენტი ჩამორჩა: „ლეიტონის სახით ძლიერი მეტოქე მყავდა. იგი ბევრად უკეთესი იყო ჩემზე, მაგრამ ცოტაც მაცადეთ, აუცილებლად დავბრუნდები. მე ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გამოსასწორებელი".

აღსანიშნავია, რომ ავსტრალიელისთვის დღევანდელი ნახევარფინალი ზედიზედ მეორეა. შარშან იგი მიყოლებით სამ სეტში დამარცხდა პიტ სამპრასთან და ახლა კაფელნიკოვთან იგივეს გაკეთებას არ აპირებს, მით უმეტეს, რომ მწარე გაკვეთილიდან თურმე გარკვეული დასკვნები გამოუტანია. „ახლა ნახევარფინალში ასპარეზობის უფლება რომ მოვიპოვე, ეს სიმშვიდის შენარჩუნებით მოვახერხე. შარშან სამპრასთან მოგების შანსი აშკარად მქონდა, მაგრამ მაშინ ნერვებმა მიმტყუნა" — ასკვნის ჰიუიტი.

ავსტრალიელისა და ამერიკელის ორთაბრძოლისგან განსხვავებით, შედარებით მშვიდად წარიმართა კაფელნიკოვისა და გუსტავო კუერტენის პაექრობა. მათ ერთმანეთის ხელწერა ზედმიწევნით იციან — რუსი და სამხრეთამერიკელი დიდი სლემის ტურნირებზე აქამდე სამჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და, რაც ყველაზე საინტერესოა, სამჯერვე როლან გაროსზე და ამდენჯერვე მეოთხედფინალში. კიდევ ერთი, ახლანდელი მეოთხედფინალისგან განსხვავებით, გამარჯვებული ყოველთვის კუერტენი გამოდიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად ჟენია გაცილებით იოლად უმკლავდებოდა გუგას, ადრინდელი წარუმატებლობების გამო დაძაბულობას გრძნობდა.

„შინაგანად ცოტას ვღელავდი. გათვითცნობიერებული მქონდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ეს მატჩი. არ მინდოდა, რომ საფრანგეთის ღია პირველობის სიმწარე ხელახლა მეგემა. ჩემდა საბედნიეროდ, დღეს სულ სხვა სურათი ვიხილეთ" — ბრაზილიელს სამ სეტში დამარცხების (6:4, 6:0, 6:3) შემდეგ განაცხადა კაფელნიკოვმა.

**გიგა გურასაშვილი**



REUTERS ნიუ იორკიდან

ენდი როდიკის თავგანწირვამ ნაყოფი მაინც ვერ გამოიღო



ეროვნული ბიბლიოთეკა



მევლუდ მთიულიშვილი

# პეტრე მიტუმ მევლუდ მთიულიშვილს გზა შამპანურით დაულოცა

*ზაფხულის ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ტრანსფერი საქართველოს ნაკრების მარცხენა ბურჯის, მევლუდ მთიულიშვილის „ორიიაკიდან" ელიტ 1-ის „აჟანში" გადასვლა იყო. 31 წლის მორკინალმა ახალ კლუბს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. მევლუდ მთიულიშვილისთვის ფრანგული ელიტის ერთ-ერთ მოწინავეში გადასვლა წინ გადადგმული ნაბიჯია. ქართველ მორკინალს საფრანგეთში შევეხმიანეთ და ახალ კლუბზე და კონტრაქტის თაობაზე დავეკითხეთ.*

— ერთობ გახარებული ვარ. „ორიიაკი" ელიტ 2-ში ჩაქვეითდა. იქ დარჩენით ბევრს ვერაფერს მოვიგებდი. „აჟანმა" კი ძალიან კარგი პირობები შემომთავაზა, თანაც იგი ლიგის ერთ-ერთი სერიოზული კლუბია. ბევრი არ მიფიქრია და „აჟანთან" ერთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. ხელშეკრულების მიხედვით ბინით, მანქანით და ნორმალური ხელფასით უზრუნველყოფილი ვიქნები. კლუბის ხელმძღვანელობასთან სასაყვედურო არაფერი მაქვს, ყველა პირობა პირნათლად შემისრულეს.

**— მოსამზადებელი ეტაპი სად გაიარეთ?**

— ძირითად ადგილზე ვვარჯიშობთ. რამდენიმე დღის წინ ოთხდღიანი შეკრება გავიარეთ აჟანიდან დაახლოებით საათნახევრის სავალზე. მყუდრო ქალაქ ლა როშელთან არის სპორტული ბაზა, სადაც ერთი ამხანაგური შეხვედრაც გავმართეთ ადგილობრივ გუნდთან. ახლა ისევ აჟანში ვართ და სეზონისთვის მზადებას ვაგრძელებთ. რამდენიმე საკონტროლო მატჩიც ვითამაშეთ. მე პირადად ყველა შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. მთავარმა მწვრთნელმა კრისტიან ლანტამ შერკინების პირველი ხაზის ყველა პოზიციაზე გამომცადა.

**— კმაყოფილი დარჩა შენით?**

— კლუბის უფროსობა და კრისტიან ლანტაც ჩემი თამაშით კმაყოფილები არიან და ვერ ვიტყვი, რომ ახალ სეზონში ძირითად შემადგენლობაში ჩემი ადგილი ვერ მოიძებნება. ლანტა ჩემდამი კეთილგანწყობილია. საკონტროლო მატჩებისას შემადგენლობა ხშირად რომ იცვლებოდა, მე მუდამ სასტარტოში ვიყავი. საჩემპიონატო 22-კაციან განაცხადში შემიყვანეს, ოღონდ ვერ ვიტყვი, რომელ პოზიციაზე მომიწევს თამაში — პირველ, მეორე, თუ მესამე ნომრად. ეს კრისტიან ლანტას და მისი თანაშემწის, კრისტოფ დელოს გადასაწყვეტია. სხვათა შორის, დელოს სიტყვას ბევრი რამე შეუძლია. მას ძალიან დიდი ავტორიტეტი აქვს გუნდში.

**— უშუალოდ შენი კონკურენტი ვინ არის?**

— საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მორკინალი ჟან კრენკა. ერთობ ძლიერი ბურჯია, თანაც ნაკრების წევრია და გარკვეული უპირატესობაც აქვს, მაგრამ ადვილი მოსალოდნელია, შერკინების შუაში, ანაც მარჯვენა ბურჯად დავდგე.

**— საფრანგეთის ნაკრებში რამდენი აჟანელი თამაშობს?**

— კრენკას გარდა კიდევ ორი, კრისტოფ ლამეზონი და გუნდის კაპიტანი ფილიპ ბენეტონი. ბენეტონი უკვე თორმეტი წელია „აჟანში" თამაშობს და გუნდის თილისმაა. მოედანზე მესამე მწვრთნელის ფუნქციებსაც ითავსებს. მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

**— გუნდში რამდენი ლეგიონერია?**

— ჯერჯერობით სამნი ვართ — მე, არგენტინელი ომარ ჰასანი და სამხრეთაფრიკელი კამერონ კოლტი. ორივე ჩემი კონკურენტია. ახლა ერთი მაროკოელის ჩამოყვანა უნდათ, მისი გვარი არ ვიცი. თუ მოეწონათ, დაიტოვებენ.

**— გუნდში როგორი ვითარებაა?**

— ნორმალური. ძალიან მეგობრული გუნდია. უკვე ახლო ურთიერთობაც მაქვს თანაგუნდელებთან. ლამეზონს და ბენეტონს დავუმეგობრდი კიდეც. მწვრთნელებიც კარგი პიროვნებები არიან. აჟანთან ახლოს, ასე ოცდაათ კილომეტრში ნიკა იურინი ცხოვრობს. ხან ის ჩამოდის ჩემთან, ხანაც მე ვსტუმრობ მას. ასე რომ, მარტოობას არ ვგრძნობ.

**— კლუბის უფროსობამ რა მიზანი დაუსახა გუნდს?**

— შემადგენლობიდან გამომდინარე, ჩვენგან მაქსიმუმს ითხოვენ, ჩემპიონატი იქნება თუ თასი. თანაც ფინანსურად „აჟანი" მყარად დგას ფეხზე. სეზონი შაბათს იწყება. გუნდი ყველანაირად მზადაა ჩემპიონატისთვის.

**— ნოემბერში რომ ამხანაგური მატჩი გვექნება საფრანგეთის „ა" ნაკრებთან, ამაზე რას ამბობენ ფრანგები?**

— კონკრეტულად ჯერ არავინ იცის, ეროვნულ ნაკრებში დაუძახებენ თუ „ა"-ში. ისე, ფრანგი სხვას რას გეტყვის — მაგრად მოგიგებთო, სულ მეუბნებიან. რუმინელებიც ეგრე იყვნენ, ზემოდან გვიყურებდნენ, მაგრამ რაც დაემართათ, მოგეხსენება, ჩვენთვის კარგია, ასე რომ ფიქრობენ, ზედმეტი თავდაჯერებულობა ზოგჯერ დამღუპველია. ჩემი რამდენიმე თანაგუნდელი საფრანგეთის შვიდკაცა ნაკრების წევრიცაა, თუ იმათ მოვუგეთ მსოფლიოს თასზე, თხუთმეტკაცა „ა" ნაკრებს რატომ ვერ უნდა მოვუგოთ?

**— „ორიიაკში" რუმინელები რომ იყვნენ, მათაც დატოვეს შენი ძველი გუნდი?**

— ოფიციალურად მხოლოდ გეორგე სოლომიე წავიდა, სხვებსაც უნდოდათ წასვლა, მერე მეც „აჟანში" გადმოვედი და ახალი არაფერი ვიცი. გახსოვს, წაგებული რომ ჰქონდათ შამპანური? ჰოდა, როგორც კი გაიგეს, „აჟანში" გავდიოდი, უმალ დაფაცურდნენ და წაგებულიც ჩამაბარეს. სხვათა შორის, მარტო შამპანურით არ დაკმაყოფილდნენ და რესტორანიც იკისრეს. ერთგვარი გაცილება მომიწყვეს. ძალიან კარგი ბიჭები არიან, განსაკუთრებით პეტრე მიტუ. იგი ჩემი უახლოესი მეგობარია.

**ბაჩო სვანიძე**

# სარბიელი&კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერიდან „კროკოს" ჩვეულ პროგრამას ერთვის

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

სამშაბათს და შაბათს კოეფიციენტები, ოთხშაბათს და პარასკევს: კოეფიციენტებს პლუს ოთხი ქვეყნის სტატისტიკა, ხუთშაბათობით წამყვანი ოცეულის სტატისტიკა კოეფიციენტებითურთ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. V ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 18.30 | 001 | მიუნხენი-ნიურნბერგი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-ჰერტა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.30 | 003 | კოტბუსი-ვოლფსბურგი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 004 | ფრაიბურგი-ჰანზა | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 18.30 | 005 | დორტმუნდი-ბაიერნი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.30 | 006 | ზტ. პაული-შალკე | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 18.30 | 007 | გლადბახი-ლევერკუზენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 20.30 | 008 | კიოლნი-ჰამბურგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 009 | ლაუტერნი-ვერდერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. V ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 013 | ფიურტი-მანჰაიმი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 014 | დუისბურგი-შვაინფურტი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 015 | ალემანია-ბაბელსბერგი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 016 | არმინია-ზაარბრიუკენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.00 | 017 | ბოხუმი-ობერჰაუზენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| | | **10 სექტემბერი** | | | |
| 23.15 | 018 | კარლსრუე-აინტრახტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VII ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 17.00 | 023 | ბრაუნშვაიგი-ურდინგენი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 17.00 | 024 | აუე-ლიუბეკი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 17.00 | 025 | კილი-ქემნიცი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 17.00 | 026 | მიუნსტერი-დრეზდენი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 17.00 | 027 | ვერდერი (მ.)-ფორტუნა | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| | | **10 სექტემბერი** | | | |
| 22.30 | 028 | დიუსელდორფი-პადერბორნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VII ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 17.30 | 035 | ბურგჰაუზენი-დარმშტადი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 17.30 | 036 | ფულდა-რეგენსბურგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 17.30 | 037 | ანსბახი-კაიზერსლაუტერნი (მ.) | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 18.00 | 038 | ტრირი-ვეჰენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 18.00 | 039 | მანჰაიმი-ერფურტი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. IV ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 19.00 | 040 | ჩელსი-არსენალი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 041 | დერბი-ვესტ ჰემი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 042 | ლიდსი-ბოლტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 043 | ლესტერი-იფსვიჩი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 044 | ლივერპული-ასტონ ვილა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 045 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 046 | მანჩესტერი-ევერტონი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 047 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 048 | სანდერლენდი-ბლექბერნი | 1,85 | 3,1 | 4,0 |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 049 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 050 | ჩარლტონი-ფულემი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. VI ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 19.00 | 051 | ბარნსლი-სტოკპორტი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 052 | ბირმინგემი-უენსდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 053 | ბარნლი-როტერჰემი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 054 | ქოვენტრი-გრიმსბი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 055 | ქრიუ-უოლსოლი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 056 | კრისტალ პალასი-მილუოლი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 057 | ნორვიჩი-ნოტინგემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 058 | პორტსმუთი-ჯილინგემი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 059 | პრესტონი-ვულვერჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 060 | შეფილდი-ბრედფორდი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 061 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 22.15 | 062 | უოტფორდი-უიმბლდონი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. VI ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 19.00 | 063 | ბორნმუთი-სუინდონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 064 | ბრენტფორდი-ტრანმერი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 065 | ბრაიტონი-ქუინზ პარკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 066 | ბრისტოლი-პორტ ვეილი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 067 | ბერი-უიგანი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 068 | კოლჩესტერი-ნორთჰემპტონი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 069 | ნოტსი-რექსემი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 070 | ოლდემი-ბლეკპული | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 071 | პიტერბრო-კემბრიჯი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 072 | რედინგი-კარდიფი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 073 | უიკომბი-ჩესტერფილდი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 074 | სტოკი-ჰადერსფილდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. VI ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 16.00 | 075 | ტორკი-პლიმუთი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 076 | დარლინგტონი-კარლაილი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 077 | ჰალიფაქსი-მაკლსფილდი | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 078 | ჰალი-იორკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 079 | ლეიტონი-როვერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 080 | ლუტონი-ოქსფორდი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 081 | მენსფილდი-ლინკოლნი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 082 | როჩდეილი-კიდერმინსტერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 083 | რაშდენი-საუთენდი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 084 | სკანთორპი-ჰარტლპული | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 085 | შრიუსბერი-ჩელტენემი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 086 | სუონსი-ექსეტერი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. VI ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 20.15 | 087 | მარსელი-ლიონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.00 | 088 | ოსერი-მონპელიე | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 089 | ლილი-გენგამი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 090 | მეცი-ბასტია | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 091 | მონაკო-ტრუა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 092 | ნანტი-სედანი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 093 | პსჟ-ლანსი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 094 | რენი-ლორიანი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 23.45 | 095 | სოშო-ბორდო | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. VII ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 23.00 | 097 | აიაჩო-ვაკვეალი | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 098 | ამიენი-სტ. ეტიენი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 099 | ისტრი-ნანსი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 23.00 | 100 | ლავალი-კაენი | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| 23.00 | 101 | ლე ავრი-ბოვე | 1,95 | 2,8 | 4,0 |
| 23.00 | 102 | ნიცა-შატორუ | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 103 | ნიორი-გრენობლი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 104 | სტრასბური-ნიმი | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| | 105 | სტრასბური-ნიმი 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| 23.00 | 106 | მარტიგი-კრეტეი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | **იტალია. სერია A. II ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 107 | პერუჯა-ლაციო | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 23.30 | 108 | რომა-უდინეზე | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 109 | რომა-უდინეზე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 110 | ატალანტა-იუვენტუსი | 3,8 | 2,9 | 1,95 |
| 18.00 | 111 | კიევო-ბოლონია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 18.00 | 112 | პარმა-ინტერი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 113 | პიაჩენცა-ლეჩე | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 18.00 | 114 | ტორინო-ბრეშა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 18.00 | 115 | ვენეცია-ვერონა | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.30 | 116 | მილანი-ფიორენტინა | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 117 | მილანი-ფიორენტინა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | | **იტალია. სერია B. III ტური** | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 118 | ანკონა-სიენა | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 119 | კალიარი-ბარი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 120 | კოზენცა-ტერნანა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 121 | ემპოლი-მესინა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 122 | ჯენოა-კომო | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 123 | პალერმო-პისტოიეზე | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 18.00 | 124 | სალერნიტანა-კროტონე | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 18.00 | 125 | ვიჩენცა-ჩიტადელა | 1,5 | 3,1 | 7,5 |
| | | **10 სექტემბერი** | | | |
| 23.45 | 126 | მოდენა-ნაპოლი | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 23.45 | 127 | რეჯინა-სამპდორია | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| | | **იტალია. სერია C1/a. II ტური** | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 128 | არეცო-პიზა | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 18.00 | 129 | კარარეზე-სპალ | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 18.00 | 130 | ლეკო-ალბინოლეფე | 1,85 | 2,6 | 5,0 |
| 18.00 | 131 | ლივორნო-ვარეზე | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 18.00 | 132 | ლუკეზე-ლუმეცანე | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 133 | მონცა-ჩეზენა | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 18.00 | 134 | პადოვა-რეჯანა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 135 | ტრევიზო-სპეცია | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 18.00 | 136 | ტრიესტინა-ალძანო | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| | | **იტალია. სერია C1/b. II ტური** | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 137 | ბენევენტო-ვიტერბეზე | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.00 | 138 | დი სანგრო-ჯულიანოვა | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 139 | კოეტი-პესკარა | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.00 | 140 | ფერმანა-ლოდიჯანი | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.00 | 141 | აკილა-სორა | 1,65 | 2,8 | 6,5 |
| 18.00 | 142 | ლანჩანო-ტარანტო | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 18.00 | 143 | ნოჩერინა-აველინო | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 18.00 | 144 | ტორესი-კატანია | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 18.00 | 145 | პეზარო-ასკოლი | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. II ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 23.00 | 147 | ბილბაო-მალიორკა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 23.30 | 146 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 24.00 | 150 | რეალი-მალაგა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 151 | რეალი-მალაგა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 00.30 | 152 | ლას პალმასი-დეპორტივო | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 21.00 | 155 | ალავესი-სოსიედადი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.00 | 154 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 22.00 | 156 | სელტა-ტენერიფე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 157 | სელტა-ტენერიფე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 148 | ბარსელონა-რაიო | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 149 | ბარსელონა-რაიო 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 24.00 | 153 | ბეტისი-ესპანიოლი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 24.00 | 158 | სარაგოსა-სევილია | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. III ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 21.30 | 159 | ხიმნასტიკი-ხაენი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 21.30 | 160 | ელჩე-ლევანტე | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 21.30 | 161 | სერესი-ბადახოსი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 23.30 | 166 | ატლეტიკო-ფეროლი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 167 | ატლეტიკო-ფეროლი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 00.30 | 170 | ალბასეტე-უელვა | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 15.00 | 162 | ნუმანსია-სპორტინგი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 22.00 | 163 | ესტრემადურა-რასინგი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 22.00 | 164 | ოვიედო-ბურგოსი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 22.00 | 165 | პოლი ეხიდო-ეიბარი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 169 | კორდობა-სალამანკა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 24.00 | 168 | მურსია-ლეგანესი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. IV ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 21.00 | 172 | ბელენენსეში-მარიტიმუ | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 01.00 | 173 | ლეირია-სპორტინგი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 20.00 | 174 | ჟილ ვისენტე-ფერეირა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 21.00 | 175 | სეტუბალი-სალგეირუში | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 21.00 | 176 | ფარენსე-სანტა კლარა | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 23.00 | 177 | ბეირა მარი-ბენფიკა | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 01.00 | 178 | პორტუ-ვარზიმი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 179 | პორტუ-ვარზიმი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **10 სექტემბერი** | | | |
| 00.30 | 180 | გიმარაეში-ბრაგა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. IV ტური** | | | |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 20.00 | 181 | ნავალი-ამადორა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 20.00 | 182 | ოვარენსე-მორიერენსე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 183 | ოლივეირენსე-ნასიონალი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 20.00 | 184 | პორტიმონენსე-აკადემიკა | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.00 | 185 | მაია-შავეში | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 186 | ლეცა-ესპინიუ | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 21.00 | 187 | კამპომაიორენსე-ავეში | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 21.00 | 188 | რიუ ავე-ლამაში | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. IV ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 22.30 | 191 | როდა-გრააფსხაპი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 192 | როდა-გრააფსხაპი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 22.30 | 193 | ტვენტე-აიაქსი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 22.30 | 194 | პსვ-სიტარდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 195 | პსვ-სიტარდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 196 | ალკმაარი-ბრედა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 23.00 | 197 | ნაიმეგენი-ფეიენოორდი | 3,6 | 3,2 | 1,85 |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 17.30 | 198 | სპარტა-ვალვაიკი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 17.30 | 199 | ტილბურგი-დენ ბოსხი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.30 | 200 | უტრეხტი-გრონინგენი | 1,75 | 3,4 | 3,6 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. IV ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 22.30 | 208 | ვეენდამი-იგლსი | 2,2 | 3,3 | 2,8 |
| 22.30 | 209 | ემენი-მაასტრიხტი | 1,65 | 3,5 | 4,2 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. IV ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 23.00 | 211 | ლუვიე-ლიერსი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 23.00 | 212 | ანდერლეხტი-გენკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 213 | ანდერლეხტი-გენკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 214 | სტ. ტრუიდენი-სტანდარდი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 23.00 | 215 | ვესტერლო-ლომელი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 216 | ბევერენი-აალსტი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| | | **9 სექტემბერი** | | | |
| 18.00 | 217 | მოლენბეკი-ბეერსხოტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 18.00 | 218 | ანტვერპენი-ბრიუგე | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 23.00 | 219 | ლოკერენი-გენტი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. IV ტური** | | | |
| | | **8 სექტემბერი** | | | |
| 22.30 | 220 | დესელი-გეელი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 23.00 | 221 | ლიეჟი-სტრომბეკი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 23.00 | 222 | დაინცე-ვირტონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 223 | პატრო-ჰეუსდენი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.00 | 224 | სერკლი-ვიზეტი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 23.00 | 225 | ინგელმუნსტერი-ფლაანდერენი | 1,85 | 3,2 | 3,6 |

**9 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 226 | დენდერლეუ-მონსი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 18.00 | 227 | რონსე-ტინენი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 228 | რუხელარე-მეხელენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ჩეხეთი. VI ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 230 | ბანიკი-ტეპლიცე | 1,65 | 3,4 | 4,4 |

**9 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.15 | 231 | ქოეკოვი-ბლშანი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 13.15 | 232 | დრნოვიცე-სინოტი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.30 | 233 | ჰ. კრალოვე-ოპავა | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.30 | 234 | პრჟიბრამი-ლიბერეცი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 235 | იაბლონეცი-ბოჰემიანსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 236 | სლავია-ბრნო | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 237 | სლავია-ბრნო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**პოლონეთი. VII ტური A ჯგუფი**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 238 | ზაგლებე-გურნიკი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 239 | კატოვიცე-ვისლა | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 20.30 | 240 | ვიძევი-პოლონია | 2,8 | 3,1 | 2,3 |

**9 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.25 | 241 | ოდრა-ოსტროვეცი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**B ჯგუფი**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 243 | გროცლინი-სტომილი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.00 | 244 | ამიცა-რუხი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 245 | შლიონსკი-რადომსკო | 1,7 | 3,3 | 4,2 |

**თურქეთი. III ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 247 | დიარბაქირი-ტრაბზონი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 21.00 | 248 | ბურსა-გაზიანთეფი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 21.00 | 249 | გალათასარაი-ანთალია | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 250 | გალათასარაი-ანთალია 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 21.00 | 254 | ქოჯაელი-ფენერბაჰჩე | 3,4 | 3,2 | 1,95 |

**9 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 251 | იოზგათი-მალათია | 1,45 | 3,8 | 6,0 |
| | 252 | იოზგათი-მალათია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.30 | 253 | ისთანბული-გიოზთეფე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 21.00 | 255 | სამსუნი-ბეშიქთაში | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 21.00 | 256 | დენიზლი-რიზე | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. VI ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 257 | აბერდინი-კილმარნოკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 258 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 259 | სელტიკი-დანფერმლაინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 260 | დანდი-სტ. ჯონსტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 261 | ლივინგსტონი-დანდი იუნაიტედი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 262 | მოზერუელი-ჰიბერნიანი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 21.35 | 263 | ჰართსი-რეინჯერსი | 4,0 | 3,2 | 1,75 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. V ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 264 | ერდრი-სტ. მირენი | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 19.00 | 265 | კლაიდი-როსი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 266 | ინვერნესი-არბროთი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 267 | პარტიკი-ეარი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 268 | რეითი-ფალკირკი | 2,6 | 3,3 | 2,3 |

**შოტლანდია. II დივიზიონი. V ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 269 | ალოა-სტენჰაუზმური | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 270 | ბერიკი-ჰამილტონი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 271 | კლაიდბენკი-მორტონი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 19.00 | 272 | ფორფარი-კოუდენბითი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 19.00 | 273 | სტრანრარი-ქუინი | 1,95 | 3,3 | 3,3 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. V ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 274 | ალბიონი-ქუინზ პარკი | 2,2 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 275 | ისტ სტირლინგი-დამბარტონი | 2,3 | 3,3 | 2,6 |
| 19.00 | 276 | მონტროუზი-ბრეჩინი | 3,0 | 3,3 | 2,1 |
| 19.00 | 277 | პიტერჰედი-ელგინი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 19.00 | 278 | სტირლინგი-ისტ ფაიფი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

**ავსტრია. X ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 279 | ბრეგენცი-ავსტრია | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 18.30 | 280 | გრაცერი-ზალცბურგი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 18.30 | 281 | რაპიდი-ადმირა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 282 | რაპიდი-ადმირა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.15 | 283 | კერნტენი-ტიროლი | გადაიდო | | |

**9 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 284 | რიდი-შტურმი | 3,0 | 2,9 | 2,3 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. X ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 286 | იანგ ბოისი-აარაუ | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.45 | 287 | გრასჰოპერი-ბაზელი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 22.30 | 288 | ლუცერნი-ციურიხი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 22.30 | 289 | სერვეტი-სტ. გალენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 22.30 | 290 | სიონი-ლოზანა | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. XII ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 291 | კონკორდია-ბელინცონა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 292 | დელემონი-კარუჟი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.30 | 293 | ვილი-თუნი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.30 | 294 | ლოკარნო-კრიენსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 295 | ვადუცი-ვინტერთური | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**9 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 296 | ივერდონი-ბადენი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**დანია. VII ტური**

**9 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 297 | აკადემისკი-ლიუნგბიუ | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 18.00 | 298 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 18.00 | 299 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 300 | ვიბორგი-სილკებორგი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 20.05 | 301 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**10 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 302 | ორჰუსი-ვაილე | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**შვედეთი. XX ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 304 | ელფსბორგი-ჰალმსტადი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**9 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 305 | აიკ-ნორჩიოპინგი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.00 | 306 | სუნდსვალი-ჰელსინგბორგი | 3,1 | 3,2 | 2,1 |

**10 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 307 | ჰამარბი-ჰეკენი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 22.00 | 308 | იორებრო-გიოტებორგი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.00 | 309 | იორგრიტე-ტრელებორგი | 1,65 | 3,4 | 4,4 |

**ნორვეგია. XXI ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 310 | რუსენბორგი-სოგნდალი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 311 | რუსენბორგი-სოგნდალი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**9 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 312 | ბოდიო გლიმტი-სტაბეკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 313 | მოლდე-ოდ გრენლანდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 314 | მოსი-სტრიომსგოდსეტი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 315 | ტრომსიო-ბრინი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 19.00 | 316 | ვიკინგი-ლინი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 317 | ვიკინგი-ლინი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.05 | 318 | ბრანი-ლილესტრიომი | 2,2 | 3,2 | 2,9 |

**ფინეთი. XXVIII ტური**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 319 | ტამპერე-კუოპიო | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 20.30 | 320 | იოკერიტი-ჰაკა | 3,0 | 3,1 | 2,2 |

**9 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 321 | ინტერი-მიუპა | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 18.00 | 322 | როვანიემი-ლაჰტი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.30 | 323 | ატლანტისი-ჯაზი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 20.30 | 324 | ვაასა-ჰიკ | 3,6 | 3,1 | 1,9 |

**ინგლისი. ლიგის თასი. II ეტაპი**

**10 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 325 | ბლექპული-ლესტერი | 4,4 | 3,6 | 1,6 |

**რუსეთი. თასი. მეთექვსმეტედფინალი**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 326 | კრისტალი-დინამო | 4,0 | 3,2 | 1,7 |
| 16.00 | 327 | ხიმკი-ანჟი | 3,8 | 3,3 | 1,8 |
| 16.00 | 328 | ყუბანი-ჩერნომორეცი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 16.00 | 329 | ურალანი-ლოკომოტივი | გადაიდო | | |
| 16.00 | 330 | ნეფტეხიმიკი-ზილ | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 16.00 | 331 | გაზოვიკ/გაზპრომი-როტორი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 16.00 | 332 | ამკარი-ტორპედო | 4,2 | 3,3 | 1,7 |

**9 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 333 | არსენალი-სატურნი | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 16.00 | 334 | კალუგა-ზენიტი | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 16.00 | 335 | სალიუტი-კრილია | 7,0 | 3,8 | 1,4 |
| 16.00 | 336 | რუბინი-ფაკელი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 16.00 | 337 | სვეტოტეხნიკა-ცსკა | 6,5 | 3,6 | 1,45 |
| 16.00 | 338 | ლადა-ალანია | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 16.00 | 339 | ტომი-სოკოლი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 16.00 | 340 | ნოსტა-როსტსელმაში | 6,5 | 3,6 | 1,45 |

**ჩემპიონთა ლიგა. გადათამაშება**

**8 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 501 | ტიროლი-ლოკომოტივი (მ) | 1,95 | 3,1 | 3,5 |

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 546 | უზბეკეთი-ომანი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 907 | გერმანია-თურქეთი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.15 | 908 | იუგოსლავია-ესპანეთი | 1,15 | 12,0 | 4,0 |

**ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. (ჩეხეთში)**

**8 სექტემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 951 | სლოვაკეთი-ჰოლანდია | 3,5 | 1,0 | 1,2 |
| 16.00 | 952 | საფრანგეთი-იუგოსლავია | 2,5 | 1,0 | 1,35 |
| 18.00 | 953 | სლოვენია-ჩეხეთი | 5,0 | 1,0 | 1,1 |
| 19.00 | 954 | უნგრეთი-იტალია | 9,0 | 1,0 | 1,02 |
| 21.00 | 955 | რუსეთი-ბულგარეთი | 1,1 | 1,0 | 5,0 |
| 22.00 | 956 | გერმანია-პოლონეთი | 2,8 | 1,0 | 1,3 |

**ტურში გატანილი გოლები**

**8 სექტემბერი**

**18.30 701 გერმანია (მე-5)**

25 და ნაკლები ........ 1,9
27 და მეტი ........ 1,9

**8 სექტემბერი**

**19.00 702 ინგლისი (მე-4)**

25 და ნაკლები ........ 1,9
27 და მეტი ........ 1,9

**8 სექტემბერი**

**20.15 703 საფრანგეთი (მე-6)**

22 და ნაკლები ........ 1,9
24 და მეტი ........ 1,9

**8 სექტემბერი**

**18.00 704 იტალია (მე-2)**

23 და ნაკლები ........ 1,9
25 და მეტი ........ 1,9

**8 სექტემბერი**

21.00 705 ესპანეთი (მე-2)
25 და ნაკლები ........ 1,9
27 და მეტი ........ 1,9

**ჩოგბურთის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **8 სექტემბერი** | | | | | | | | | | | |
| 18.30 | 601 | მიუნხენი-ნიურნბერგი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 5,3 | 8,0 | 15,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.30 | 602 | შტუტგარტი-ჰერტა | 3,5 | 9,0 | 16,0 | 4,7 | 5,0 | 5,6 | 15,0 | 9,0 | 4,4 |
| 18.30 | 603 | კოტბუსი-ვოლფსბურგი | 2,8 | 10,0 | 18,0 | 3,7 | 5,0 | 7,0 | 15,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.30 | 604 | ფრაიბურგი-ჰანზა | 2,6 | 11,0 | 20,0 | 3,5 | 5,3 | 8,0 | 15,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 605 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3,8 | 9,0 | 16,0 | 4,7 | 5,0 | 5,0 | 16,0 | 9,0 | 4,0 |
| 18.30 | 606 | ზტ. პაული-შალკე | 4,4 | 10,0 | 18,0 | 5,3 | 5,3 | 4,4 | 18,0 | 10,0 | 3,5 |
| 18.30 | 607 | მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი | 3,8 | 10,0 | 18,0 | 5,0 | 5,0 | 5,0 | 18,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 608 | ჩელსი-არსენალი | 3,5 | 9,0 | 18,0 | 5,0 | 5,0 | 5,3 | 18,0 | 9,0 | 4,2 |
| 19.00 | 609 | დერბი-ვესტ ჰემი | 3,3 | 9,0 | 18,0 | 4,2 | 4,7 | 6,0 | 18,0 | 9,0 | 5,0 |
| 19.00 | 610 | ლიდსი-ბოლტონი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 6,0 | 10,0 | 18,0 | 10,0 | 9,0 |
| 19.00 | 611 | ლესტერი-იფსვიჩი | 3,5 | 10,0 | 18,0 | 4,7 | 5,0 | 5,3 | 18,0 | 10,0 | 4,0 |
| 19.00 | 612 | ლივერპული-ასტონ ვილა | 2,3 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 5,6 | 10,0 | 18,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 613 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,6 | 15,0 | 35,0 | 3,2 | 6,5 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 614 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 3,6 | 10,0 | 18,0 | 4,7 | 5,0 | 5,0 | 18,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 615 | სანდერლენდი-ბლექბერნი | 2,8 | 10,0 | 18,0 | 4,0 | 5,0 | 7,0 | 18,0 | 9,0 | 6,0 |
| 18.00 | 616 | პერუჯა-ლაციო | 6,0 | 10,0 | 16,0 | 7,0 | 4,7 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 23.30 | 617 | რომა-უდინეზე | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 5,6 | 14,0 | 18,0 | 10,0 | 12,0 |
| 23.30 | 636 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,6 | 5,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 11,0 |
| 00.30 | 632 | ლას პალმასი-დეპორტივო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| **9 სექტემბერი** | | | | | | | | | | | |
| 20.30 | 618 | კიოლნი-ჰამბურგი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 5,0 | 6,0 | 18,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.30 | 619 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 5,3 | 9,0 | 18,0 | 9,0 | 8,0 |
| 18.00 | 620 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 2,0 | 11,0 | 22,0 | 3,6 | 5,3 | 9,0 | 18,0 | 10,0 | 8,0 |
| 20.00 | 621 | ჩარლტონი-ფულემი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 5,0 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.00 | 622 | ატალანტა-იუვენტუსი | 5,6 | 10,0 | 18,0 | 7,0 | 5,0 | 4,0 | 22,0 | 11,0 | 3,0 |
| 18.00 | 623 | კიევო-ბოლონია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 18.00 | 624 | პარმა-ინტერი | 4,0 | 9,0 | 18,0 | 4,4 | 4,4 | 4,7 | 18,0 | 9,0 | 4,2 |
| 18.00 | 625 | პიაჩენცა-ლეჩე | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 626 | ტორინო-ბრეშა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 18.00 | 627 | ვენეცია-ვერონა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.30 | 628 | მილანი-ფიორენტინა | 1,7 | 12,0 | 30,0 | 3,5 | 5,6 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 12,0 |
| 21.00 | 630 | რეალი-მალაგა | 1,45 | 12,0 | 30,0 | 3,0 | 6,5 | 15,0 | 20,0 | 10,0 | 15,0 |
| 21.00 | 631 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 21.00 | 633 | ბილბაო-მალიორკა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 21.00 | 634 | ალავესი-სოსიედადი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 5,0 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 21.00 | 635 | სელტა-ტენერიფე | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 5,6 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 12,0 |
| 23.00 | 637 | ბარსელონა-რაიო | 1,4 | 14,0 | 30,0 | 3,0 | 6,5 | 15,0 | 20,0 | 10,0 | 15,0 |
| 24.00 | 629 | ბეტისი-ესპანიოლი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 24.00 | 638 | სარაგოსა-სევილია | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 5,0 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |

## შპს „კროკოს ადმინისტრაცია

# გაფრთხილებთ!

ფოთში, მისამართზე რკალი 5, მუშაობს თვითმარქვია ტოტალიზატორი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შპს „კროკოსთან". შესაბამისად, შპს „კროკო" აღნიშნული თვითმარქვია ტოტალიზატორის მუშაობაზე არანაირ პასუხისმგებლობას არ კისრულობს და შესაძლო პრეტენზიებს არ განიხილავს.

**ფოთში დღესდღეობით**

**„კროკოს" ბიურო არ არსებობს.**

არალეგალური საქმიანობა ისჯება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. შპს „კროკოს" ადმინისტრაცია კომპეტენტურ ორგანოებს შესაბამისი რეაგირებისთვის მიმართავს.

## ვუელტა 2001



შარშან „ვუელტა“ რობერტო ერასმა მოიგო

# ესპანური წრე ესპანელებისთვის

**საბოლოო** გამარჯვების კანდიდატები, მთებში რბოლის სპეციალისტები, მშვენიერი ინდივიდუალისტები, მაღალი დონის სპრინტერებიც კი არიან ესპანურ პელოტონში. ამიტომაც, დღეს დასაწყებ „ვუელტაში“ მთავარ როლებს, ალბათ, სწორედ პირინეელები შეასრულებენ.

„პოსტ-ინდურაინის თაობა“, ასე ეძახის ესპანური მედია თავის ამჟამინდელ მრბოლელებს, რომლებიც პელოტონს მთავარ მამოძრავებელ ძალად ჩამოყალიბდნენ. „სხვა ინდურაინი აღარ იარსებებს, ეს შეუძლებელია“ — ამბობს „ვუელტას“ შარშანდელი გამარჯვებული რობერტო ერასი, რომელსაც დონ მიგელის ჩრდილიდან გამოსვლა კი უნდა, მაგრამ „ტურის“ ხუთგზის და „ვუელტას“ ორგზის მომგებს, მაინც უდიდეს პატივს სცემს.

„ჩვენი ველოსპორტი მსოფლიოში საუკეთესოა. მხოლოდ არმსტრონგის დარი გამოკვეთილი ლიდერი გვაკლია, სხვა აღარაფერი. ინდურაინის დროს მის უკან არაფერი იყო, ესპანური პელოტონი სიძლიერით ვერ დაიკვეხნიდა. დღეს ყველა ჯურის უძლიერესი მრბოლელები გვყავს, „კელმე“ კი ზედიზედ ორჯერ გახდა „ტურის“ გამარჯვებული გუნდურ ჩათვლაში“ — ამბობს „ვუელტას“ დირექტორი ენრიკე ფრანკო.

თანამედროვე ესპანელი მრბოლები მართლაც აღარ შემოიფარგლებიან ოდენ მთებში ხანდახან გაბრწყინებით და უკვე ნებისმიერი სახის რბოლის მოგება ძალუძთ. წლეულს „ტურის“ პირველ ოცეულში ერთბაშად რვა ესპანელი შევიდა.

ყველაფერი აქედან გამომდინარე, ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ „ვუელტა 2001“-ის გამარჯვებული ესპანელი იქნება. მითუმეტეს, რომ აქ არ გამოვლენ არც ლენს არმსტრონგი და არც იან ულრიხი, ალექს ცულე, მარკო პანტანი და რიშარ ვირანკი კი თავიანთ საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ იქნებიან.

ესპანელთაგან ჩემპიონობის შვიდი მეტ-ნაკლებად სერიოზული კანდიდატია გამოსარჩევი. თავიდან რობერტო ერასია დასასახელებელი. შემდეგ მოდიან ხოსება ბელოკი, რომელიც ბოლო ორ „ტურზე“ მესამე ადგილზე გავიდა, იგორ გონსალეს დე გალდეანო, ანხელ კასერო, აბრაამ ოლანო. ამათ აუცილებლად უნდა დავამატოთ „ახალგაზრდა მგლებიც“ — ოსკარ სევილია, ვინც „ტურის“ საუკეთესო ახალგაზრდა გახდა და ბასკი იბან მაიო, ვისთვისაც ეს პირველი შეჯიბრი იქნება დიდი სამეულიდან. მაიო, მართალია გუნდის პირველი ნომერი არაა, მაგრამ თუ საჭირო გახდა, დავიდ ეჩებერია იქეთ ჩადგება მის სამსახურში.

ამათ გარდა სათვალავში ჩასაგდებნი არიან ისეთი მრბოლებიც, რომლებიც ყველა სახის გზაზე ერთნაირი წარმატებით გამოდიან და თუ მცირედი შანსი მიეცათ, შეიძლება ის ბოლომდეც გამოიყენონ. ამათ შორის არიან უნაი ოსა, აიმარ სუბელდია, რობერტო ლაისეკა, ხოსე-მარია ხიმენესი და სხვანი.

ერთი სიტყვით, საინტერესო ბრძოლა უნდა გაიმართოს ესპანელებს შორის, რომლის კვანძიც სექტემბრის ბოლო დღეს გაიხსნება მადრიდში, სადაც ინდივიდუალური რბოლით დასრულდება სეზონის მესამე და ბოლო დიდი ტურნირი.

**გაგი გურული**

### „ვუელტა 2001“-ის ეტაპები

| | | |
|---|---|---|
| 8 სექტემბერი | სალამანკა, ინდივიდუალური რბოლა | 13,4 კმ |
| 9 სექტემბერი | სალამანკა — ვალიადოლიდი | 147,2 კმ |
| 10 სექტემბერი | ვალიადოლიდი — ლეონი | 140,5 კმ |
| 11 სექტემბერი | ლეონი — ხიხონი | 153,5 კმ |
| 12 სექტემბერი | ხიხონი — კოვაგონდა | 160,8 კმ |
| 13 სექტემბერი | კანგას დე ონისი — ტორელავეგა | 180,6 კმ |
| 14 სექტემბერი | ტორელავეგა, ინდივიდუალური რბოლა | 44,2 კმ |
| 15 სექტემბერი | რეინოსა — კრუზ დე ლა დემანდა | 195 კმ |
| 16 სექტემბერი | ლოგრონიესი — სარაგოსა | 179,2 კმ |
| 17 სექტემბერი | *დასვენების დღე* | |
| 18 სექტემბერი | საბადელი — ლა მოლინა | 168,4 კმ |
| 19 სექტემბერი | ალპი — პალი (ანდორა) | 154,2 კმ |
| 20 სექტემბერი | ორდინო — არკალისი (ანდორა), ინდ. რბოლა | 17,1 კმ |
| 21 სექტემბერი | ანდორა — პორტ ავეტურა | 206 კმ |
| 22 სექტემბერი | ტარაგონა — ვინაროსი | 170,5 კმ |
| 23 სექტემბერი | ვალენსია — აიტანა | 207,2 კმ |
| 24 სექტემბერი | *დასვენების დღე* | |
| 25 სექტემბერი | ალკოი — მურსია | 153,3 კმ |
| 26 სექტემბერი | მურსია — ალბასეტე | 159,5 კმ |
| 27 სექტემბერი | ალბასეტე — კუენკა | 154,2 კმ |
| 28 სექტემბერი | კუენკა — გვადალახარა | 168 კმ |
| 29 სექტემბერი | გვადალახარა — აბანტოსი | 176,3 კმ |
| 30 სექტემბერი | მადრიდი, ინდივიდუალური რბოლა | 38 კმ |

### „ვუელტა 2001“-ის გუნდები ლიდერებით

პოსტალი (აშშ) — რობერტო ერასი (ესპანეთი)
ალესიო (იტალია) — ივან გოტი (იტალია)
იბანესტო (ესპანეთი) — უნაი ოსა (ესპანეთი)
კოასტი (გერმანია) — ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი)
კოფიდისი (საფრანგეთი) — დევიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი)
კანტინა ტოლო (იტალია) — დანილო დი ლუკა (იტალია)
დომო (ბელგია) — რიშარ ვირანკი (საფრანგეთი)
ესკალტელი (ესპანეთი) — დავიდ ეჩებერია (ესპანეთი)
ფესტინა (საფრანგეთი) — ანხელ კასერო (ესპანეთი)
ხასტელი (ესპანეთი) — ელეტერიო ანგუიტა (ესპანეთი)
კელმე (ესპანეთი) — ოსკარ სევილია (ესპანეთი)
ლამპრე (იტალია) — ჯილბერტო სიმონი (იტალია)
მაპეი (იტალია) — ოსკარ ფრეირე (ესპანეთი)
მერკატონე უნო (იტალია) — მარკო პანტანი (იტალია)
მილანესა (ესპანეთი) — მელხიორ მაური (ესპანეთი)
ონსე (ესპანეთი) — აბრაამ ოლანო (ესპანეთი)
პანარია (იტალია) — ჯულიანო ფიგუერასი (იტალია)
ფუენლაბრადა (ესპანეთი) — ნაკორ ბურგოსი (ესპანეთი)
საეკო (იტალია) — პაოლო სავოლდელი (იტალია)
ტელეკომი (გერმანია) — ერიკ ზაბელი (გერმანია)

# ხმაურით მოსული ხმაურით წავიდა

## მაიკლ ჯონსონის ხანა დღეიდან ისტორიაა

**გუშინდელი** დღე ბრისბენში ღირსშესანიშნავი თუნდაც იმიტომაც იყო, რომ კეთილი ნების თამაშების სამძლეოსნო ნაწილი დასრულდა, მაგრამ ცენტრალური მოვლენა ეს მაინც არ გახლდათ. დიახ, ბრისბენში მიმდინარე ამ საკმაოდ მასშტაბურ შეჯიბრში გამოვიდნენ ელიტარული ათლეტები და მაღალი შედეგებიც აჩვენეს, მაგრამ 30 ათასი მაყურებელი მაინც უფრო მაიკლ ჯონსონის სანახავად მოგროვდა, მას მძლეოსნობიდან აცილებდნენ.

ამიტომ ძალიან მოკლედ ვთქვათ, რომ პარასკევს ბირთვის კვრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ადამ ნელსონმა მოიგო, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონ ჯონ გოდინას 15 სანტიმეტრით აჯობა, უროს ტყორცნაში კი სწორედ სიდნეის ოლიმპიადის გამარჯვებული გაწბილდა: პოლონელმა შიმონ ციოლკოვსკიმ იაპონელთა კერპს, კოჯი მუროფუშის დაუთმო. გრძელ დისტანციებზე ტრადიციულად ეთიოპები დომინირებდნენ, ასეფა მეზგებუმ ვაჟებში იმარჯვა, დერარტუ ტულუმ — ქალებში და ათჭიდი კიდევ ერთხელ ჩეხმა ტომაშ დვორჟაკმა მოიგო, რომელიც მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი გახლავთ.

ძირითადად ეს იყო და ახლა მთავარზე. ვაჟთა 4X400 მეტრიანი ესტაფეტის სტარტზე ჯონსონის გამოჩენას ტაშისკვრა ახლდა. ამერიკელთა გარდა იქ ძლიერი იამაიკელები, ბაჰამელები და მისთანანი იყვნენ. საინტერესოა რბოლის წინ მათ ტვინში მიმდინარე პროცესები: მიდის ჯონსონი, 5 ოლიმპიური და 9 მსოფლიოს ოქროს პატრონი, ხალხი მის ბენეფისზე მოვიდა, შენ კი გაუსწარი და კარიერის მიწურული ჩაუმწარე! ამიტომ ძნელი სათქმელია, სხვები მაინცდამაინც გამარჯვებისთვის თუ გარბოდნენ, მაგრამ მონდომება აშკარად ეტყობოდათ.

ამერიკელები ესტაფეტებში ისედაც ყველას რომ ჯობნიან, მოგეხსენებათ და ჯონსონი (ბოლო რომ უნდა გაქცეულიყო) უახლოეს მეტოქეებთან 5-მეტრიანი უპირატესობით გაიქცა. ჯოხის მიღება ათლეტს მთლად იდეალური ვერ გამოუვიდა და იამაიკელი ერთი მეტრით წამოეწია, მაგრამ მერე ჯონსონმა ჩვეულად გაკურცხლა თავის უკანასკნელ პროფესიულ ტრასაზე და ფინიშს დიდი უპირატესობით უწია. ტრიუმფი შედგა.

ოვაციებით იქაურობა რომ დაინგრა, არ მოვყვებით. ხალხი ფეხზე იდგა. ჯონსონს სულ არ უჩქარია, რონინით უვლიდა ბოლო საპატიო წრეს მაშინ, როცა სტადიონის ზორბა დინამიკები ანდრეა ბოჩელის TIME TO SAY GOODBYE-ს („დროა დაგემშვიდობოთ“) გამოსცემდნენ. მაიკლს ფოტორეპორტიორები შემოსჯარვოდნენ, ის კი ლამის ყოველ ქომაგთან ჩერდებოდა და რაღაცეებს ელაპარაკებოდა. ასე მიაღწია კვლავ ფინიშის ხაზამდე, სადაც ცოლი, 16 თვის შვილი და მასმედია ელოდნენ.

„მაგრად დავიწყე და მაგრად დამთავრება მსურდა — უთხრა ცოტა აღელვებულმა ჯონსონმა ჟურნალისტებს — კარიერის მანძილზე ბედნიერი ვიყავი და ნამდვილად მინდა, ხალხს ვახსოვდე კაცად, ვინც მძლეოსნობისთვის ყველაფერი გაიღო“.

ჯონსონი იაპონიაშიც საჩვენებელ გარბენს მოაწყობს, მაგრამ ის არასერიოზული საქმეა, მისი უბრწყინვალესი კარიერა რეალურად გუშინ დამთავრდა.

**დავით გულუა**




მაიკლ ჯონსონი ბოლო გარბენის შემდეგ



სენბერნარების ოჯახი

# ესეც ალპები და ოლიმპიური დედაქალაქი



ლოზანა. ოლიმპიური დროშები სენ ფრანსუას ქუჩაზე



FILA-ს შტაბ-ბინა ლოზანაში

დასაწყისი იხ. „სარბიელი“ №159, №164, №165

**ᲘᲛ** ავდარში ლოზანის სასტუმრო „კონტინენტალის“ ფანჯრიდან ცქერისას ვაგზლის პირდაპირ ჯიპი გაჩერდა. იქიდან ზურგჩანთიანი მამაკაცები ორ სენბერნართან ერთად გადმოვიდნენ და ვაგზლისკენ გასწიეს. ალბათ სავარჯიშოდ მიდიოდნენ. ვარჯიში ხომ მთამსვლელებსაც უნდათ და სენბერნარსაც.

სენბერნარი შვეიცარიის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსშესანიშნაობაა. ყოველ შემთხვევაში, სენბერნარს, შვეიცარიის სხვა თავმოსაწონებლებთან ერთად, ღია საფოსტო ბარათებზე გამოსახავენ, რაც ამგვარი ბეჭდური პროდუქციის უპოპულარესი თემაა.

რამდენიმე სენბერნარი საქართველოშიც ჰყავთ, მაგრამ მათ ისე ზრდიან, როგორც ქოთნის ყვავილს. არადა, სენბერნარი პარკეტზე და ასფალტზე სასეირნოდ კი არა, თოვლიან მთაში თავგადასავლებისთვის და ადამიანთა გადასარჩენადაა მოწოდებული.

სახელი სენბერნარი დაკავშირებულია მწვერვალ სენ-ბერნართან, რომელიც შვეიცარიის ალპებში მონბლანის მახლობლად მდებარეობს. იქვეა დიდი და პატარა სენ-ბერნარის უღელტეხილებიც. ერთ-ერთ უღელტეხილზე, რომელიც სენ-ბერნარის მწვერვალთან ახლოს, შვეიცარიიდან იტალიაში მიმავალ გზაზეა, ამავე სახელობის მონასტერია აგებული.

სწორედ სენ-ბერნარის მონასტრის ბერებმა, ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, გამოიყვანეს ძაღლის განსაკუთრებული ჯიში, რომელსაც სენბერნარი უწოდეს.

მონასტერში მათ საგანგებოდ წვრთნიდნენ ზვავში ჩამარხული ადამიანების მოსაძებნად. ძაღლი საოცარი ყნოსვის წყალობით სწრაფად პოულობს ხიფათში ჩავარდნილს. თათებით თხრის თოვლს, მომაკვდავს ათბობს და თუ ადამიანი მთლად დაუძლურებულია, გარბის მონასტერში, ხმამაღლა ყეფით უხმობს ბერებს და გათოშილი ადამიანისკენ მიჰყავს. ბერები სენბერნარს კისერზე სპირტით სავსე პაწია მათარას კიდებენ. მთაში გზააბნეულ და გათოშილ, ზვავში ჩამარხულ ადამიანს შეუძლია სპირტი შესვას, მოყინული თითები დაიზილოს და სული მოითქვას.

სენბერნარის ჯიშის ძაღლი XIV საუკუნიდანაა ცნობილი. მისი სიმაღლე 85 სანტიმეტრია. ამ მხრივ იგი ოდნავ ჩამორჩება ყველაზე მაღალ ძაღლს — ინგლისურ დოგს, სამაგიეროდ, წონა 80 კილოგრამი და მეტია. ამ მხრივ მას ვერც ერთი ძაღლი ვერ შეედრება.

სენბერნარი წითურია, ხალები ან თეთრი ლაქები ამშვენებს. სენბერნარისთვის თეთრი ლაქები აუცილებელია შუბლზე, კისერზე, მკერდზე, ფეხებზე და კუდის ბოლოს.

ამ ჯიშის ძაღლთაგან ყველაზე სახელგანთქმული იყო ბარი, რომელსაც პარიზის მახლობლად, ძაღლების სასაფლაოს შუაგულში ძეგლი დაუდგეს. მარმარილოსაგან გამოთლილი ძაღლის ზურგზე ბავშვი გაწოლილა. იგი ძაღლს ხელებით ჩაფრენია. კვარცხლბეკზე ასეთი წარწერაა:

„დიდი სენბერნარელი ბარი.

მან ორმოცი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა.

ორმოცდამეერთემ მოკლა იგი“.

ქანდაკებაზე და მის წარწერაზე ორი ლეგენდა იკითხება.

პირველის შინაარსი ასეთია:

ერთხელ მთაში ბავშვი დაიკარგა. ბარიმ მშიერ-მწყურვალ, გათოშილ, მომაკვდავ ბავშვს გამოქვაბულში მიაგნო, სახე და ხელები დაულოკა და გაათბო. მერე მის ფეხებთან გაწვა და ზურგი მიუშვირა. ბავშვი ბარის ზურგზე აბობღდა და საყელოს ჩაეჭიდა. ძაღლმა გოგონა მონასტერში მიიყვანა, მონასტრის კარზე დამაგრებული ზარი კბილებით დარეკა...

მეორე ლეგენდა მოგვითხრობს:

ალპებში უზარმაზარი ზვავი მოწყდა და ერთი მგზავრი ცოცხლად ჩამარხა. მის საძებნელად მაშველი ჯგუფი გაემართა. თოვლში პირველი ბარი მიიკვლევდა გზას. ადამიანებს თანდათან ძალა ეცლებოდათ. ბინდი ჩამოწვა, ძებნა შეუძლებელი გახდა. ახლა მთელი იმედი ბარილა იყო.

უცებ ძაღლი შეჩერდა და გაირინდა. მერე გაქანდა, ერთგან შედგა და თათებით თოვლის თხრა დაიწყო. აი, ჩააღწია კიდეც ადამიანამდე. უკვე საკმაოდ ბნელოდა და იმ სიბნელეში ადამიანს ძაღლი მგელი თუ დათვი ეგონა. შეშინებულმა ხელი რევოლვერისკენ გააპარა. მოყინული თითები არ ემორჩილებოდა. რის ვაი-ვაგლახით ჩახმახი ფეხზე შეაჩყენა და ბარის ტყვია დაახალა. ძაღლმა ერთი კი დაიგმინა ადამიანივით და უკან გადავარდა, მაგრამ მერე ძალღონე მოიკრიბა, წამოდგა, გათოშილ კაცს საყელოში კბილები ჩაავლო და თოვლიდან ამოათრია. ძაღლი სისხლისაგან იცლებოდა, მაგრამ უმწეო ადამიანს ბედის ანაბარას მაინც არ ტოვებდა. მაშველმა ჯგუფმა მათთან ააღწია თუ არა, ბარიმ სული დალია.

ეს მეორე ლეგენდა ძალზე გავრცელებულია, თუმცა მსგავსი ამბავი არ მომხდარა. ბარიმ მართლაც ორმოცი ადამიანი გადაარჩინა, მაგარმ იგი არავის მოუკლავს და არც დაუჭრია. ბარი სენ-ბერნარის მონასტერში 1800 წლიდან 1812 წლამდე ცხოვრობდა. მერე მონასტრის წინამძღვარმა ბერნში, ნაცნობთან გაგზავნა, სადაც იგი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა.

ბარის საქმე კი მისმა შთამომავლობამაც გააგრძელა. ბოლოს სამაშველო ძაღლების საერთაშორისო ფედერაციაც (უფორდი) კი შეიქმნა. ახლა ევროპის ყველა მთიან ქვეყანაში არსებობს ძაღლების სამძებრო-სამაშველო სამსახური, გამონაკლისი მხოლოდ საქართველოა, არადა, ზვავები არც ჩვენთანაა იშვიათი.

ამ 30 წლის წინათ ქედის რაიონში ზვავმა 12 კაცი ჩამარხა. სამმა რაღაც სასწაულად თავად მოახერხა თავის დახსნა, დანარჩენებს ათმა მთამსვლელმა და კიდევ ორმოცმა კაცმა ორი კვირის განმავლობაში მიაგნო, სამწუხაროდ, — მხოლოდ გვამებს.

მაშველთ რომ ერთი სენბერნარი მაინც ჰყოლოდათ, ჩამარხულებს რამდენიმე საათში, ან წუთშიც მოძებნიდნენ, ყოველ შემთხვევაში ექსპერიმენტით დარწმუნდნენ, რომ 100x100 მეტრიან ფართობზე ძაღლი 12 წუთში პოულობს ზვავში ჩამარხულს.

აი, ასეთია შვეიცარიელთა სიამაყე სენბერნარი.

***

**ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ** თანახმად, შვეიცარიელთა ლეგენდარული გმირი, თავისუფლებისთვის მებრძოლი ვილჰელმ ტელი ალედორფის მთავარ მოედანზე თურმე არბალეტიდან ისრებს ესროდა ვაშლს, რომელიც... საკუთარ შვილს თავზე ედო. დღეს ასეთი სიგიჟე წყნარ და უშფოთველ ცხოვრებას მიჩვეულ შვეიცარიელს ალბათ აზრად არ მოუვა. ეგ კი არა, აქ რომ პროფესიონალ მოკრივეთა ბრძოლა ჩატარდეს, მგონია, გაკვირვებისგან პირდაღებულ შვეიცარიელებს თვალები შუბლზე აუვათ, ნეტა ერთმანეთს რა დაუშავეს ასეთი და რისთვის ურტყამენო. არბალეტები და მუშტი-კრივი რა მოსატანია, როცა ლოზანის კაფე-ბარებშიც კი არ გამიგონია ხმამაღალი მუსიკა. ის კაფებარებიც ადრიანად იკეტება და მთელი ქალაქი ქათამივით საღამოვადის იძინებს. ერთხელ, აჩალოალამებულზე, ასე, 22 საათზე, სასეირნოდ ჩვენს სასტუმროსა და რკინიგზის ვაგზალს შორის მდებარე ტერიტორიას რამდენიმე ათეული მეტრით რომ გავცდით, ორსაათიანი ხეტიალის განმავლობაში ერთი კაციც კი აღარ დაგვილანდავს ქუჩაში. აღარც ბინებიდან გამოდიოდა სინათლე. ეტყობა, ამიტომაც ჩიოდა ჩვენი ლეგიონერი ფეხბურთელი, „ციურიხში“ მოთამაშე მიხეილ ყაველაშვილი, ასეთი მოწყენილი ქვეყანა არსად მინახავსო.

ლოზანასთან შედარებით ხალხმრავალ და დიდ ჟენევაშიც ისეთი სიწყნარე იყო, რომ ამ ქვეყანაში ფეხბურთის თამაშიც კი დისონანსად მეჩვენა. და თუ მაინცდამაინც სპორტსა და თამაშებზე მიდგება საქმე, შვეიცარიელთათვის ყველაზე ზედგამოჭრილი უხმაურო და უმაყურებლო ალპინიზმის მერე ჭადრაკია.

შვეიცარიას, განსაკუთრებით ლოზანას თავისი სიწყნარე თავისებურ მომხიბვლელობას ანიჭებს ბუნებასთან ურთიერთკავშირი, რომელიც თავადაც უჩვეულო სიმშვიდის მომგვრელია.

რაკი ბუნებას კიდევ ერთხელ მოვუხმეთ, მახსენდება სოკ-ის სპორტის და ოლიმპიური სოლიდარობის საერთაშორისო ურთიერთობათა კოორდინატორ ფექრიუ კიდანის სიტყვებიც, ლოზანაში წელიწადის დროების მონაცვლეობა ისე კარგად იგრძნობა, როგორც ვივალდის მუსიკაშიო. ყოველივე ამის მერე სულაც არ მიკვირს, რომ გერმანელმა ვაგნერმა ცოლისადმი მიძღვნილი „ზიგფრიდის იდილია“ პირველად სწორედ შვეიცარიაში შეასრულა.

ზიგფრიდისა თუ ვაგნერისეულმა იდილიამ მოხიბლა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მებალავრე, ფრანგი ბარონი პიერ დე კუბერტენი, რომელმაც პარიზიდან აქ ლოზანაში გადმოიტანა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეზიდენცია, ამ ორგანიზაციის ამჟამინდელი პრეზიდენტის წინამორბედმა, ესპანელმა მარკიზმა ხუან ანტონიო სამარანჩმა კი ლოზანა ოლიმპიურ დედაქალაქად აქცია.

სოკ-ის პუბლიკაციათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ქართველი ემიგრანტის შვილის მარი ელენ რუხაძის სიტყვებით, „ლოზანა ერთადერთი დედაქალაქია სოფელში“.

სამარანჩის ინიციატივით ამ „სოფელში“ აშენდა და დაარსდა საერთაშორისო ოლიმპიური მუზეუმიც. იდილიური ჟენევის ტბის პირას გაშენებულ მუზეუმსა და სოკ-ის შტაბბინას აერთიანებს მწვანეში ჩაფლული ოლიმპიური პარკი, რომელშიც მრავლადაა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზები. ამ პარკს არავითარი ღობე არ ზღუდავს, იქ ნებისმიერს შეუძლია ბურთაობაც და პიკნიკის მოწყობაც.

სოკ-ის შტაბ-ბინის „ხატრით“ ამ ნეიტრალურ ქვეყანაში დაუდევს ბინა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციათა უმეტესობას. ესენია: ფეხბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ჭიდაობის, ველოსპორტის, ცხენოსნობის, ტანვარჯიშის, ცურვის, ნიჩბოსნობის, ბეისბოლის, მთამსვლელობის, ჭადრაკის, სათხილამურო და სპორტის სხვა საერთაშორისო ფედერაციები. აქვეა კუბერტენის სახელობის საერთაშორისო კომიტეტი, სპორტული მედიცინის საერთაშორისო ფედერაცია, სპორტული ნაწარმის მსოფლიო ფედერაცია, ოლიმპიური ფილატელიის სართაშორისო ფედერაცია და სხვა მრავალი. ბევრი მათგანი ლოზანაშია და ჟენევასა თუ ბერნში დარჩენილებიც აქეთ მოილტვიან.

**ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

**ლოზანა-თბილისი**

**გაგრძელება იქნება**




ლოზანის ოლიმპიური პარკის „ეზოკარი“



ოლიმპიურ პარკში ბურთაობაც შეიძლება, პიკნიკის მოწყობაც და...

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერი და ბერი

კოსტა რიკის საფეხბურთო ნაკრები გაისად კორეა-იაპონიას ეწვევა და თავის ისტორიაში მეორედ ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე. კოსტარიკელ ხალხს კი თავისი გმირი ჰყავს: თავდამსხმელი როლანდო ფონსეკა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების 2:0-ზე ძლევის შემდეგ ესალმება დედაქალაქ სან ხოსეს ქუჩებში გამოფენილი ერი და ბერი.



REUTERS სან ხოსედან



REUTERS სტამბოლიდან

# მადლობა

სტამბოლში მიმდინარე ევროპის საკალათბურთო ჩემპიონატზე იუგოსლავიის ნაკრებმა ლატვიელები დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა. დარბაზში მრავლად შეკრებილ სერბ გულშემატკივრებს ნაღდად ეკუთვნოდათ კალათბურთელების მადლობა. მადლობაც უშურველი იყო: საშა ობრადოვიჩი (მარცხნიდან), პრედრაგ დრობნიაკი, დრაგან ტარლაჩი და დეიან მილოშევიჩი ტაშით დაემშვიდობნენ ერთგულ ქომაგებს.



REUTERS სტამბოლიდან





REUTERS მონრეალიდან

# კოივუს კიბო აღმოაჩნდა

ცუდი ამბავი მოვიდა მონრეალიდან: იქაური „კანადიენსის“ კაპიტანს, ფინელ ჰოკეისტს საკუ კოივუს მუცლის ღრუს კიბო აღმოაჩნდა. ამის შესახებ დამწუხრებულმა განაცხადა გუნდის ექიმმა დევიდ მალდერმა. მან ისიც თქვა, რომ კოივუ უკვე მონრეალის საავადმყოფოში წევს. ამ ცუდ ამბავს მსწრაფლ გამოეხმაურნენ კალგარიში შეკრებაზე მყოფი კანადის ოლიმპიური გუნდის წევრები, კოივუს ძველი მეგობარი, ექს-მონრეალელი მეგოლე მარკ რეკი და დიადი მარიო ლემიე, რომელიც ლიმფური ჯირკვლის კიბომ რამდენი წლით მოწყვიტა თამაშს. მოთამაშეებმა გამამხნევებელი სიტყვები არ დაიშურეს კოლეგის მიმართ.



REUTERS კალგარიდან



REUTERS ბრისბენიდან

# ნახტომი

აჰ, რა ლამაზი ნახტომია! ესპანელი მძლეოსანი ნიურკა მონტალვო ბრისბენში მიმდინარე სიგრძეზე ხტომის შეჯიბრზე თითქოს ჰაერს შეერია. თუმცა, მოხდენილმა ნახტომმა მხოლოდ მეხუთე ადგილი მოუპოვა ამ გოგოს. კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი კი ბრაზილიელი მაურენ იგა მაგი შეიქნა, რომლის საუკეთესო შედეგიც 6,94 მეტრი იყო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge